140/3
1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

№6 ※ ივნისი ※ 1949

პიონერი

№ 6 ივნისი 1949

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამომცემლობა
„კომუნისტი"

წელიწადი XXIII

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარლამ ქურული

# როცა კითხულობ პუშკინს

პუშკინის ლექსის სინათლე
შუქივით ხალხს მოჰფენია,
ლექსში ელვარებს სიმართლე,
ბრწყინავს რუსეთის გენია.

მოქუხს სიტყვების ჩანჩქერი,
გიტაცებს და ეწაფები,
კითხულობ, პწკარებს ჩაცქერი,
ამოგაქვს გულის ძაფები.

გაჟრჟოლებს, გრძნობით სავსეა
ჰანგები სიმთა ჟღერისა.
მის წიგნში სილამაზეა,
სუნთქვაა მთელი ერისა.

მის წიგნში ხედავ სამშობლოს
ზღვებით, მინდვრებით, ქედებით,
... დაიძრა გმირი, და ბოლოს
მილეწ-მოლეწა შვედები.

ხედავ: გრანიტის ნაპირებს
ასკდება ნევა მედგარი,
შფოთავს, შეტევას აპირებს
ბრინჯაოს ძველი მხედარი.

ხედავ: პოლტავის ტრამალებს
თელავს მაზეპა ვერაგი,
ჰიხვინებს, ქროლვას აჰალებს
მისი დამფრთხალი მერანი.

ხედავ: სტამბოლი ზანზარებს,
რუსები მტერზე ლაშქრობენ,
გლეჯენ არზრუმის შავკარებს,
თურქეთის მთვარეს აქრობენ.

ხედავ: ცას აპობს კავკასი,
მოშხუის ფიცხი არაგვი,
თერგიც შმაგი და კასკასი
ლოდებზე ხტომით გადარბის.

მის წიგნში მოჩანს ყაზბეგი,
ლარსი და ხევის ცხოვრება,
პიტალო კლდეზე ნაგები
ყრუ ციხეც გემახსოვრება.

მოვიდა ჟამი ნეტარი
სხვა ფიქრით, სხვა ამღერებით,
პუშკინის ლექსის ნექტარით
ტკბებიან მოძმე ერები.

მისი ხმა ისმის შორითაც,
მის ლექსს ეტრფოდა ლენინი,
მის ლექსს ეტრფოდა გორიდან
არწივი ამოფრენილი.

პუშკინი ხალხის შვილია,
ადიდებს ჩვენი დროება,
პუშკინში გადაშლილია
რუსეთის უსაზღვროება.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ა. ს. პუშკინი

ნახ. ხ. ქობულაძისა.

# დიდი ხალხის დიდი პოეტი

მიმდინარე წლის 6 ივნისს ჩვენმა დიადმა სამშობლომ ზეიმით აღნიშნა 150 წლისთავი დიდი რუსი მწერლის — ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინის დაბადებიდან.

ა. ს. პუშკინი ახალი რუსული მწერლობის ფუძემდებელია, იგი რუსული სალიტერატურო ენის შემქმნელია.

პუშკინმა პირველმა შემოიტანა რუსულ მწერლობაში ხალხური ენა და, როგორც მაქსიმ გორკი ამბობს, „პირველმა იგრძნო, რომ მხატვრული ლიტერატურა არის უმთავრესი ნაციონალური საქმე... ხოლო პოეტის მოწოდებაა იყოს ხალხის გრძნობებისა და ფიქრთა გამომხატველი“.

პუშკინის მომჯადოებელ ნაწარმოებებში გენიალურადაა ასახული ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის, პოეტის თავისუფლებისმოყვარე აზრები, მისი წმინდა პატრიოტული გრძნობები და უსაზღვრო რწმენა სამშობლოს დიადი მომავლისადმი.

პუშკინის პოეტურმა გენიამ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ კაცობრიობის კულტურის წინსვლაზე.

ყველა ამის გამო, დიდმა სტალინმა სიამაყის გრძნობით მოიხსენია პუშკინი რუსი ხალხის რჩეულ შვილთა შორის.



6292
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
Тбилисский филиал Библиотека

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგი ლევის-ძე პუშკინი, პოეტის მამა

* * *

ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინი დაიბადა 1799 წლის 26 მაისს (ახალი სტილით 6 ივნისს) ქ. მოსკოვში. პოეტის მამა სერგი ლევის-ძე პუშკინი რუს აზნაურთა უძიილეს გვარს ეკუთვნოდა, დედა ნადეჟდა ოსიპის ასული მეფე პეტრე პირველის „ზანგის“, შემდგომში კი რუსი გენერლის, ჰანიბალის შვილიშვილი იყო.

პოეტის აღმზრდელი და პირველი მეგობარი იყო ყმა გლეხი ქალი ანა როდიონის ასული, რომელმაც პატარა პუშკინს სიყრმიდანვე მშრომელი ხალხი და მისი პოეზია შეაყვარა.

პოეტის ძმის გადმოცემით, პუშკინს ჯერ კიდევ ადრე ბავშვობისას დაუწყია პატარა კომედიებისა და ლექსების წერა.

1811 წელს პუშკინი მიაბარეს ცარსკოე სელოს (ახლანდელი პუშკინო) ლიცეუმში, სადაც იზრდებოდნენ აგრეთვე პოეტის უახლოესი მეგობრები, მომავალი დეკაბრისტები* პუშჩინი, კუხელბეკერი, პოეტი დელვიგი და სხვა.

ლიცეუმში პუშკინის ყოფნის დროს დაიწყო 1812 წლის სამამულო ომი, რომელშიაც რუსმა ხალხმა საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონის ჯარები გაანადგურა. ამ ომმა, როგორც ხალხში, ისე ლიცეუმის მოსწავლეებში დიდი პატრიოტული გრძნობები აღძრა, რაც ახალგაზრდა პუშკინმა დიდი სიღრმითა და ოსტატობით გადმოსცა თავის ლექსებში.

ლიცეუმში მწიფდებოდა ახალგაზრდა პუშკინის არა მარტო პოეტური ნიჭი, არამედ მოწინავე საზოგადოებრივი შეხედულებანი. პირველად აქ, ლიცეუმში, ეზიარა იგი დეკაბრისტების რევოლუციურ აზრებს.

15 წლისა იყო პუშკინი, როდესაც თავისი ლექსი — „მეგობარ პოეტს“ — იმ დროის ცნობილ ჟურნალში დაბეჭდა.

16 წლისა იყო იგი, როდესაც ლიცეუმში ჩატარებულ საჯარო გამოცდებზე გატაცებით წაიკითხა თავისი ლექსი „მოგონებანი ცარსკოე სელოში“, რამაც დამსწრეთა საერთო აღფრთოვანება გამოიწვია, ხოლო მოხუც დერჟავინს სიხარულის ცრემლებით აუვსო თვალი.

1817 წელს პუშკინმა სწავლა დაამთავრა და გამოეთხოვა მუდამ ტკბილად მოსაგონარ ლიცეუმს.

* * *

ლიცეუმის დამთავრების შემდეგ პუშკინი პეტერბურგში ცხოვრობდა და დაუღალავ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა.

სწორედ იმ ხანებში რუსეთის სხვადასხვა ადგილას დეკაბრისტთა საზოგადოებანი ყალიბდებოდა.

პუშკინი დეკაბრისტთა ორგანიზაციის წევრი არ ყოფილა, მაგრამ მათ თავისუფლებისმოყვარე აზრებს მთელი არსებით თანაუგრძნობდა. ეს განწყობილება პოეტმა დიდი სიღრმით გამოხატა ლექსში „თავისუფლება“.

1820 წელს პუშკინმა, ლიცეუმში დაწყებული, ხალხურ თქმულებებზე აგებული პოემა „რუსლან და ლუდმილა“ დაასრულა. მკითხველმა საზოგადოებამ აღტაცებით მიიღო ახალგაზრდა პოეტის ეს გენიალური ქმნილება. პოემის გამოსვლის დღეს ცნობილმა პოეტმა ჟუკოვსკიმ პუშკინს საჩუქრად გაუგზავნა საკუთარი პორტრეტი წარწერით: „გამარჯვებულ მოწაფეს დამარცხებული მასწავლებლისაგან“.

ასეთ ნაწარმოებებთან ერთად, პუშკინი იმ ხანებში მეფის მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ ლექსებსაც წერდა. როდესაც ეს

* ასე ეწოდებათ იმ რევოლუციონერებს, რომლებმაც 1825 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგში მეფის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსები ხელთ იგდეს ჟანდარმებმა, მეფემ ბრძანა პუშკინი ქ. კიშინიოვში გადაესახლებინათ.

პუშკინმა, სანამ კიშინიოვში ჩავიდოდა, იმოგზაურა კავკასიასა და ყირიმში. ვაჟკაცი და გულმართალი მთიელების ცხოვრებით მოხიბლულმა პოეტმა დაწერა შესანიშნავი პოემა „კავკასიის ტყვე", რომელშიც, ბ. გ. ბელინსკის სიტყვებით, „პირველად აისახა კავკასიისა და მებრძოლი სულით ანთებულ მის მკვიდრთა გრანდიოზული სურათი".

ყირიმში გაგონილ ლეგენდაზეააგო პუშკინმა ნაირფერებით მოქარგული პოემა „ბახჩისარაის შადრევანი".

კიშინიოვში ჩასვლისთანავე პუშკინმა საშინელი მოწყენილობა იგრძნო, მთელ დროს იგი ლექსების წერას ანდომებდა. აქ დაწერა პუშკინმა ლექსი „ხანჯალი", რომელშიც იგი ნამდვილი მეამბოხის ხმით მოუწოდებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ახალგაზრდა პოეტს კიშინიოვის მეშჩანური გარემო საშინლად ტანჯავდა და იგი მუდამ ოცნებობდა გადასახლებიდან განთავისუფლებაზე. დიდი დავიდარაბისა და საქმეში პოეტის გავლენიან მეგობართა ჩარევის შემდეგ, მეფემ პუშკინს საცხოვრებელ ადგილად ქ. ოდესა მიუჩინა.

ოდესაში პოეტი გენერალ-გუბერნატორის გრაფი ვორონცოვის კანცელარიაში მსახურობდა. მედიდური ვორონცოვი და თავმოყვარე პუშკინი ერთმანეთს ვერ შეეგუენ.

ვორონცოვი დაჟინებით მოითხოვდა, რომ პუშკინი ოდესიდან გაესახლებინათ. სწორედ ამ დროს, მთავრობამ ხელთ იგდო პოეტის ერთი წერილი, რომელშიც იგი ღმერთის არსებობას უარყოფდა. ეს საბუთი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დევნილი პოეტი პსკოვის გუბერნიის სოფ. მიხაილოვსკოეში გადაესახლებინათ.

* * *

მიხაილოვსკოეში ჩასვლის დღიდანვე პუშკინი კარჩაკეტილად ცხოვრობდა. მისი ერთად-ერთი მანუგეშებელი მოხუცი გამდელი არინა როდიონის ასული იყო.

როგორც პირვანდელი გადასახლებისას, ისე ახლაც, პოეტი სულიერ შვებას დაძაბულ შემოქმედებით შრომაში ჰპოებდა. მიხაილოვსკოეში დაამთავრა მან მთლიანად პოემა „ბოშები", დაწერა „ევგენი ონეგინის" ოთხი თავი, შექმნა ისტორიული ტრაგედია „ბორის გოდუნოვი" და მრავალი სხვა უფრო მომცრო ნაწარმოები.



ნადეჟდა ოსიპის ასული პუშკინა, პოეტის დედა

აქ იგი დიდი ინტერესითა და გატაცებით ეცნობოდა სოფლის მშრომელი ხალხის ზნე-ჩვეულებებს, მის ენას, ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. როგორც ბავშვობისას, ზამთრის გრძელ ღამეებში, მოხუცი გამდელი უამბობდა პოეტს მომხიბვლელ ხალხურ ზღაპრებს, რომელთა მიბაძვით შეჰქმნა პუშკინმა შესანიშნავი ზღაპრები—„მებადური და ოქროს თევზი", „ხუცესი და მისი მოჯამაგირე ბალდა" და სხვ.

სწორედ იმ ხანებში, როდესაც პუშკინს სოფ. მიხაილოვსკოეში მარტოობა სტანჯავდა, პეტერბურგში დიდი ამბები ხდებოდა. 1825 წლის 14 დეკემბერს, სენატის მოედანზე დეკაბრისტთა აჯანყებამ იფეთქა. მეფე ნიკოლოზ პირველი მხეცურად გაუსწორდა აჯანყებულთ, ხუთი მეთაური ჩამოახრჩობინა, ხოლო ასზე მეტი მონაწილე, მათ შორის პუშკინის უახლოესი მეგობრები — დელვიგი და პუშჩინი, ციმბირის კატორღებში გაგზავნა.

პუშკინი შეთქმულების მონაწილე არ ყოფილა, მაგრამ დაპატიმრებული დეკაბრისტების ქაღალდებში ჟანდარმებმა მრავალი მისი რევოლუციური ლექსი იპოვეს. პოეტმა ეს გაიგო და სასტიკ სასჯელს მოელოდა, მაგრამ მეფე სხვანაირად მოიქცა. მან ბრძანა, რომ პუშკინი გადასახლების ადგილიდან სასწრაფოდ მოსკოვში ჩამოეყვანათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1826 წლის სექტემბერში პუშკინი მოსკოვს ჩამოიყვანეს და მეფეს წარუდგინეს. ნიკოლოზთან საუბრისას პოეტს თავი ამაყად ეჭირა. მეფის შეკითხვაზე, თუ როგორ მოიქცეოდა იგი 14 დეკემბერს, რომ პეტერბურგში ყოფილიყო, პუშკინმა გაბედულად უპასუხა:
— ვიქნებოდი სენატის მოედანზე, სწორედ იქ, სადაც ჩემი მეგობრები იყვნენო. საუბრის დასასრულს ნიკოლოზი შეეკითხა პუშკინს, სურს თუ არა მას შერიგება და პირველმა გაუწოდა ხელი პოეტს. პუშკინი ჩაფიქრდა და მხოლოდ დიდი ყოყმანის შემდეგ მიაგება მეფის ხელს თავისი ხელი.

ამ დღიდან პუშკინი მოსკოვში დარჩა. საზოგადოება ზეიმით შეეგება მას. პოეტი აქაც დაძაბულ შემოქმედებით მუშაობას შეუდგა. ამასთან ერთად, იგი არ ივიწყებდა თავის მეგობრებს, 14 დეკემბრის მსხვერპლთ, რომლებიც კატორღელთა ბორკილებით ხელფეხშეკრულნი შორეულ ციმბირში ეწამებოდნენ. მათ პოეტმა გაუგზავნა თავისი ცნობილი ლექსი „დეკაბრისტებს ციმბირში“. ამ ლექსში პუშკინი გამამხნევებლად მიმართავდა გადასახლებაში მყოფ მეგობრებს:

„დაინგრევიან საპყრობილენი,
გატყდება მძიმე ხუნდების რკალი,
მიგიღებთ ლაღი თავისუფლება
და მოგერთმევათ ძმებისგან ხმალი“.



პუშკინი ბავშვობაში

* * *

ათას რვაას ოცდარვა წელს რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო. პოეტმა ფრონტზე გამგზავრების ნებართვა ითხოვა, მაგრამ უარი უთხრეს. მაშინ, მთავრობისაგან ნებადაურთველად იგი 1829 წლის 1 მაისს მოსკოვიდან გამოემგზავრა. 22 მაისს პუშკინი კავკავში იყო და მალე თბილისისაკენ გამოსწია. გამოიარა ლარსი, ყაზბეგი, ანანური, ფასანაური, დუშეთი და 1829 წლის 27 მაისს თბილისში ჩამოვიდა. საქართველოს დედაქალაქს თავისი კულტურული ცხოვრებით პოეტზე ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია. ქართველები პუშკინს მოსწონებია და უწოდებს „მეომარ ხალხს“, რომლის „გონებრივ ნიჭიერებას დიდი განათლება შოელის“.

თბილისიდან პოეტი რამდენიმე დღით კახეთს ესტუმრა, შემდეგ ფრონტზე გაემგზავრა არზრუმისაკენ, სადაც ბრძოლებშიაც მიიღო მონაწილეობა.

1829 წლის 1 აგვისტოს პუშკინი ფრონტიდან თბილისს დაბრუნდა და აქ ხუთ დღეს დარჩა. პოეტი გაეცნო თბილისის საზოგადოებას, ქართულ მუსიკასა და სიმღერებს, დაათვალიერა ქალაქის მიდამოები, მთაწმინდაზე ინახულა იმ დღეებში დაკრძალული მეგობარი პოეტის ა. გრიბოედოვის საფლავი და მუხლი მოიყარა მის წინაშე.

თბილისის საზოგადოებამ პუშკინს საგანგებო შეხვედრა მოუწყო, რომელიც თანამედროვეთა გადმოცემით, ნამდვილ ზეიმად გადაქცეულა. ამ შეხვედრის გულწრფელობით მოხიბლულ პოეტს ასე მიუმართავს დამსწრეთათვის: „ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს ისეთი დღე, როდესაც ამაზე მეტად მხიარული ვყოფილიყავი. ვხედავ, როგორ ვუყვარვარ ხალხს, როგორ მაფასებს და ეს მაბედნიერებს“.

კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებანი პოეტმა გადმოგვცა თავის საინტერესო მოთხრობაში — „გამგზავრება არზრუმში“, და აგრეთვე ლექსებში, როგორიცაა: „დელიბაში“, „მონასტერი მყინვარზე“, „ზვავი“, „კავკასიონი“, „საქართველოს მთებს“ და სხვ.

1829 წლის აგვისტოში პუშკინი მოსკოვს დაბრუნდა.

1831 წელს პუშკინი დაქორწინდა ნატალია გონჩაროვაზე, რომლისაგან მას ოთხი შვილი, ორი ვაჟი და ორი ქალი, ჰყავდა.

* * *

პოეტი დაქორწინების შემდეგ მოსკოვში ცხოვრობდა და ძველებურად განაგრძობდა რუსული ლიტერატურის გამდიდრებას ახალ-ახალი შესანიშნავი ქმნილებით. პოეტის პოპულარობა და მისდამი ხალხის სიყვარული ყოველდღიურად იზრდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ თანდათან უარესდებოდა მისი პირადი ცხოვრება. ამას ხელს უწყობდა დევნა, რომელსაც იგი მეფისა და პეტერბურგის არისტოკრატიისაგან განიცდიდა. მტრების ზნედაცემულობამ უმაღლეს წერტილს 1836 წლის ზამთარში მიაღწია, როდესაც პუშკინს მისი ოჯახის პატიოსნების შეურაცხმყოფელი უსახელო ბარათი მოუვიდა. ამ ბარათის შედგენაში მთავარ მონაწილეობას ვინმე ბარონი გეკერენი ღებულობდა.

მტრების ამ საქციელით გამმაგებულმა პუშკინმა დუელში გამოიწვია გეკერენის შვილობილი, ოფიცერი დანტესი. ამ დანტესის ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრილი პუშკინი 1837 წლის 29 იანვარს გარდაიცვალა.

უსაზღვრო იყო საყვარელი პოეტის მოკვლით გამოწვეული ხალხის გლოვა და აღშფოთება. ერის ეს სულიერი განწყობილება ლექსში „პოეტის სიკვდილი" უდიდესი განცდით გადმოსცა ლერმონტოვმა. ამ ლექსისათვის ლერმონტოვი გადასახლებაში გაგზავნეს.

პუშკინის მოკვლის გამო მოსალოდნელი საზოგადოებრივი პროტესტით დაშინებულმა მთავრობის აგენტებმა პოეტის ცხედარი სამ თებერვალს ღამით ფარულად [illegible]ფელ მიხაილოვსკოეში და ას[illegible] მიაბარეს იგი მიწას სვიატოგორსკის მონასტრის სასაფლაოზე.

* * *

პუშკინის სიკვდილის შემდეგ მისი პოეზიისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა უფრო და უფრო ღრმად ისადგურებდა არა მარტო რუსი ხალხის, არამედ ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენ სივრცეზე მცხოვრებ ყველა ხალხის გულში.

გენიოსი პოეტი კარგად ითვალისწინებდა თავისი შემოქმედების დიად მომავალს, საპატიო ადგილს, რომელსაც იგი ხალხთა სულიერ საგანძურში დაიჭერდა, და სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე დაწერილ „ძეგლში" წინასწარმეტყველებდა:

„სახელი ჩემი მოედება მთელ დიად
რუსეთს
და მოიგონებს ყველა ერი მასში
მცხოვრები;"

პუშკინის ეს წინასწარმეტყველება სინამდვილედ იქცა მხოლოდ ჩვენს დროში, როდესაც აღორძინებულ საბჭოთა ქვეყნის ხალხებს შესაძლებლობა მიეცათ თავის მშობლიურ ენაზე დაწაფებოდნენ უკვდავი რუსი პოეტის გენიალურ მემკვიდრეობას.

**ვლადიმერ ზამბახიძე**



დუელის შემდეგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ა. ს. პუშკინი

## ლექსები

* * *

ჩემს მოკრძალებულ ჩანგს არ სჩვევია
მიწიერ ღმერთთა სთქვას საქებელი,
არც ძლიერთათვის დამიკმევია
პირმოთნეობის მე საკმეველი.
თავისუფლებას ვუმღერდი მუდამ,
მისი დიდების ჰიმნი შევქმენი,
მე არ ვშობილვარ, რომ ჩემმა მუზამ
კდემამოსილმაართოს მეფენი.
მაგრამ მაქვს ცოდვა მე უნებური:
იქ სად კასტალი * ნაკადად ჩქეფდა,
აპოლოსაგან შთაგონებული,
ჩუმად ვუმღერდი ელისაბეტას.
მე მიწიერმა ციურის ხილვით
ალმოდებულმა, განაოცებმა,—
ვუმღერე ტახტზე მჯდარ სათნოებას
და დღესაც მისი მშვენებით ვიწვი.
თავისუფლების ჰიმნების მთქმელი
ვიყავ მეხოტბეც სილამაზისა,
და ჩემი სიტყვა მოუსყიდველი
იყო ხმა დიდი რუსი ხალხისა.

* კასტალი — პოეტური შთაგონების წყარო.

## ჩიტი

უცხო მხარეში მე წმინდად ვიცავ
მამა-პაპათა ძველ ჩვეულებას:
ტყვე ჩიტს კარს ვუღებ, როს დედამიწას
საგაზაფხულო აქვს წვეულება.

ნუგეშით სხივი გულს მეფინება,
ბედს დავემდურო,—არ მაქვს უფლება,
როცა ერთადერთს, თუნდაც ქმნილებას,
ჩემგან ეძლევა თავისუფლება.



პუშკინის ნახატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზამთრის ღამე

ქარი ცაზე აფენს ღრუბლებს
და თოვლის ბუქს გრაგნის ბარში,
ხან მხეცივით დაიღმუვლებს,
ხან კი ტირის, როგორც ბავშვი.
ხან უეცრად. ის წყეული,
ბანზე ჩალას აშრიალებს,
ხან ვით მგზავრი ღამეული
გვიკაკუნებს ქოხის კარებს.
ჩვენი ქოხი ღამე ბნელში
უსმენს მოთქმას შემაწუხარს.
ჩემო ბები, სავარძელში
ეგრე რისთვის მინაბულხარ?
იქნებ ქარმა აბეზარმა
გაგიწყალა კვნესით გული,
ან ზუზუნით თითისტარმა
მოგიკიდა თვალზე რული!

ჩემო კარგო, ჩემი სიყრმის
მეგობარო საფიცარო,
მომე თასი, იქნებ ღვინით
გულის ჯავრი გავიქარვო!
თან მიმღერე,—ჩიტი-გვრიტი
ცხრა მთას იქით რას ჩიოდა,
ან გოგონა მარგალიტი
წყალზე რისთვის დადიოდა.
ქარი ცაზე აფენს ღრუბლებს
და თოვლის ბუქს გრაგნის ბარში,
ხან მხეცივით დაიღმუვლებს,
ხან კი ტირის, როგორც ბავშვი.
ჩემო ბები, ჩემი სიყრმის
განუყრელო მეგობარო,
მომე თასი, ეგებ ღვინით
გულის ჯავრი გავიქარვო.

თარგმანები ვ. წულუკიძისა

---

# გ ა მ დ ე ლ ს

ჩემო ძვირფასო მოხუცო ქალო,
მანუგეშებდი მკაცრ სიმწარეში!
კარგა ხანია, ალალმართალო,
მიცდი მარტოკა ყრუ ფიჭვნარებში.
არ სწყვეტ ოთახში სარკმლის წინ გლოვას,
თითქოს გუშაგობ შენ მორჩილებით;

შენს ნაოჭიან ხელებში ქსოვას
ანელებს ყოველ წუთში ჩხირები.
წინ მივიწყებულ ძველ კარებს ჰხედავ,
უმზერ გზას ბნელით მოცულს, შორეულს.
წინათგრძნობები, ზრუნვა და სევდა
გულს გიკუმშავენ ჯანგამოლეულს.

თარგმანი დ. ცაგარლისა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# პუშკინი ლიცეუმში

ს. ბონდი

1811 წელს პუშკინს თორმეტი წელი შეუსრულდა. ის პეტერბურგში წაიყვანეს და მიაბარეს სკოლაში, რომელიც იმ ხანებში გაიხსნა პეტერბურგის ახლო, ქალაქ ცარსკოე სელოში (ამჟამად პუშკინო). ამ სკოლას ლიცეუმი ერქვა. ის მოთავსებული იყო შენობაში, რომელიც მეფის სასახლეზე იყო მიშენებული. აქ ოცდაათამდე ბიჭი სწავლობდა. სკოლის გახსნიდან მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოხდა მოწაფეების ხელახალი მიღება. სწავლა ექვს წელს გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ბიჭები ფეხმოუცვლელად ცხოვრობდნენ იქ. ყოველ მათგანს ქონდა უბრალოდ მოწყობილი პატარა ოთახი. მათ ასწავლიდნენ იმდროინდელი საუკეთესო მასწავლებლები და პროფესორები. ექვსი წლის განმავლობაში ერთად ცხოვრებამ ბიჭები ძალიან დაამეგობრა. მათ ძლიერ შეუყვარდათ თავიანთი ლიცეუმი. ლიცეუმის დამთავრების შემდეგ ისინი ყოველი წლის 19 ოქტომბერს იკრიბებოდნენ ხოლმე ლიცეუმის გახსნის წლისთავის საზეიმოდ.

ცარსკოე სელოში პუშკინმა ჰპოვა ყველაფერი ის, რაც მას ოჯახში აკლდა: უფრო თავისუფალი ცხოვრება. ის აქ ყოველ წუთში არ ღებულობდა საყვედურსა და სასჯელს.

ლიცეუმში პუშკინმა რუსულად დაიწყო ლექსების წერა. (ადრე ბავშვობაში ფრანგულად წერდა). მალე ამხანაგებიც და პროფესორებიც დარწმუნდნენ, რომ მათ შორის იზრდებოდა დიდი ნიჭი, მომავალი შესანიშნავი პოეტი.

გარდა პუშკინისა, ლიცეუმში სხვა ყმაწვილებიც წერდნენ. მათ შორის მომავალი ნიჭიერი პოეტები დელვიგი, კუხელბეკერი, მაგრამ პუშკინი მათ ყველას ჩრდილავდა თავისი ლექსებით. პუშკინი ძალიან ბევრს წერდა და გულმოდგინედ მუშაობდა თავის ლექსებზე ისე, რომ მალე ისინი გაუთანაბრდნენ, ცხოველმყოფლობითა და მხატვრობით, იმდროინდელი საუკეთესო პოეტების ლექსებს. იმ დროს პუშკინი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, მას ჯერ ცოტა რამ ჰქონდა ნანახი, ცოტა გადაეტანა, ამიტომ ლიცეუმისდროინდელ მის ლექსებში ჯერ კიდევ არ არის ის სიღრმე და სიბრძნე, ის ძლიერი გრძნობა, ის ახალი აზრები, რომელთაც პუშკინის მოწიფულობისდროინდელ პოეზიაში ვხვდებით. მაგრამ ყველა ეს ლექსი დაწერილია ბრწყინვალე, ნათელი, ლამაზი ენით, ცოცხლად, ხშირად გონებამახვილად.

ამ წლებში რუსეთმა 1812 წლის სამამულო ომი გადაიტანა, მძიმე და საშინელი ბრძოლა შემოსეულ ნაპოლეონის ურდოებთან. ნაპოლეონი მოსკოვამდის მივიდა და აიღო კიდევაც ის. მაგრამ ერთი თვის შემდეგ იძულებული შეიქნა მოსკოვი დაეტოვებინა. ნაპოლეონის უკანდახევის დროს რუსეთის ჯარმა და სამშობლოს დასაცავად ამდგარმა ხალხმა საბოლოოდ დაამარცხა და თითქმის მთლად გაანადგურა საფრანგეთის არმია. ამ მრისხანე, გმირულმა ამბებმა პუშკინის მთელ სულიერ ცხოვრებაზე ღრმა კვალი დასტოვეს.

ხმა „პატარა პუშკინზე", რომელიც ჯერ კიდევ სკოლის სკამზე იჯდა და წერდა შესანიშნავ ლექსებს, გავრცელდა იმ დროინდელ საუკეთესო ახალგაზრდა მწერლებში. ჟუკოვ-

სკი, ბატუშკოვი, ბიძა პუშკინისა — ვასილი ლევის-ძე და სხვანი მოდიოდნენ ლიცეუმში ახალგაზრდა პუშკინის სანახავად. 1815 წლის დასაწყისში მოხდა შემთხვევა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს პუშკინისათვის საუკეთესო რუსი პოეტის სახელწოდების მიმნიჭებლად.

1815 წლის იანვარში ლიცეუმში ღია საჯარო გამოცდა ტარდებოდა. მოწვეული იყვნენ მოსწავლეთა ნათესავები. ესწრებოდნენ საპატიო პირნი თვით მინისტრის მეთაურობით. ყველაზე პატივსაცემი სტუმარი პოეტი დერჟავინი იყო. ის უკვე სამოცდაათ წელზე მეტისა იყო და ნაკლებადღა წერდა, მაგრამ ახლო წარსულში ეს იყო დიდი პოეტი, იმდროინდელი ლიტერატურის სიამაყე. თავის ლექსებში დერჟავინი უმღეროდა რუსი სარდლების — სუვოროვისა და რუმიანცევის გამარჯვებებს. მისი ლექსები მაშინვე ითარგმნებოდა უცხო ენებზე. გამოცდაზე მისმა მოსვლამ აალელვა ლიცეისტები. ისინი ბედნიერებას გრძნობდნენ ცნობილი პოეტის სტუმრობით, რომელსაც კარგად სცნობდნენ თავისი ლექსებით. შემდეგ პუშკინი ჰყვებოდა, როგორ ისმენდა დერჟავინი მოწაფეების პასუხს რუსულ ლიტერატურაში.

„ჩვენმა გამოცდამ ის ძლიერ მოქანცა, ხელზე თავდაყრდნობილი იჯდა. სახე უაზრო ჰქონდა, ტუჩები ჩამოშვებული... ის სთვლემდა მანამ, სანამ არ დაიწყო გამოცდა რუსულ სიტყვიერებაში. აქ ის გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა, მთლად გარდაიქმნა. რა თქმა უნდა, მის ლექსებს კითხულობდნენ, არჩევდნენ, დროდადრო აქებდნენ მის ნაწერებს და ისიც არაჩვეულებრივი ხალისით უსმენდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გამოცდაზე პუშკინს თავისი ახალი ლექსი „ცარსკოე სელოს მოგონებანი“ უნდა წაეკითხა. ამ ლექსში პუშკინი ლაპარაკობს წარსულ ომებსა და ახალ 1812 წლის სამამულო ომში რუსული იარაღის გამარჯვებაზე. ის იგონებს ძველ პოეტებს, რომლებიც თავიანთ ლექსებში უმღეროდნენ გამარჯვებულ სარდლებს.

„მე ორ ნაბიჯზე ვიდექი დერჟავინიდან და ვკითხულობდი ჩემს „ცარსკოე სელოს მოგონებან“-ს — ჰყვებოდა შემდეგ პუშკინი, — ძალა არ შემწევს აღვწერო ჩემი სულის მდგომარეობა. როდესაც ლექსის იმ ადგილამდე მივედი, სადაც ვახსენებ დერჟავინის სახელს, ხმა ყმაწვილურად ამიჟღერდა და გული მომხიბვლელი აღტაცებით ამიძგერდა.“

პუშკინის ერთ-ერთი ამხანაგი ასე იგონებდა ამ ღირსშესანიშნავ შემთხვევას პუშკინის ცხოვრებაში:

„ჩვენ, მისი მეგობარ-ამხანაგები, ვამაყობდით ამ ზეიმით. პუშკინი თავის „ცარსკოე სელოს მოგონებან“-ს კითხულობდა. ამ მშვენიერ ლექსში ის ეხება ყველაფერს, რაც ძვირფასია რუსული გულისათვის. პუშკინი არაჩვეულებრივი სიცოცხლით კითხულობდა... როდესაც ჩვენი მგოსნების პატრიარქი (გ. რ. დერჟავინი) აღფრთოვანებით, თვალში ცრემლმორეული მივარდა პუშკინს, დაუწყო



პუშკინი ლიცეუმში, გამოცდებზე 1815 წელს დერჟავინის წინაშე კითხულობს თავის ლექსს „ცარსკოე სელოს მოგონებანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოცნა და პირველი გადასწერა მის ხუჭუჭს თავს, ჩვენ ყველანი რაღაც უხილავი ზეგავლენით, მოკრძალებით ვდუმდით. ყველას გვსურდა თვით მოვხვეოდით ჩვენს პოეტს, მაგრამ ის უკვე იქ აღარ იყო: ის გაიქცა!“

შემდეგ დერჟავინი ამბობდა, რომ პუშკინის სახით ის პოეზიაში თავის მოადგილესა და მემკვიდრეს ხედავს.

პუშკინმა ლიცეუმი 1817 წელს დაამთავრა. ამ დროს ის უკვე ნამდვილი პოეტი იყო. მან იცოდა მშვენიერი, მქლერი, ცოცხალი ლექსების წერა, თავის ნაწარმოებებზე გულდასმით მუშაობა, ნახულობდა რა სულ უფრო და უფრო კარგ გამოთქმებს თავის აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად. წაკითხულმა წიგნებმა და ლიცეუმში გატარებულმა დღეებმა პუშკინში აღზარდეს მხურვალე სიყვარული თავისუფლებისა და ზიზღი მეფის მთავრობისადმი, რომელიც სჩაგრავდა ხალხს.

თარგმანი **ნ. ჯიბლაძისა**

# პუშკინის ნათესავები



ქალაქ ვიბორგის საშუალო სკოლაში სწავლობს გენიალური რუსი პოეტის ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინის ნათესავი ტანია კლიმენკო.

ტანია მეცხრე კლასში გადავიდა. იგი ცხოვრობს ვიბორგში დედასთან და ბებიასთან — ვერა კაეტანის ასულ ჰანიბალთან.

ვერა ჰანიბალი ყველაზე უფროსია იმ ნათესავთა შორის, რომელიც დარჩა პოეტს დედის მხრივ. ვერა ჰანიბალის ბებია პუშკინის დეიდაშვილი იყო.

დიდ სამამულო ომამდე ვერა კაეტანის ასული თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ლენინგრადში. მისი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი რუსი საბჭოთა მწერლები: ნიკოლოზ ტიხონოვი, იური ტინიანოვი, ვერა ინბერი.

ვერა ჰანიბალის ქმარი ინჟინერ-არქიტექტორი იყო. თვითონ ვერა ერთ-ერთი დიდი ქარხნის საკონსტრუქტორო განყოფილებაში მუშაობდა. მამაცურად იტანდა ვერა კაეტანის ასული 1941-1942 წლების მძიმე ბლოკადას. მისი შვილი — მხატვარი დაუძლურდა ბლოკადის მძიმე პირობების გამო. თვითონ ვერა ძლივს ადგამდა დასივებულ და ისედაც დაავადებულ ფეხებს.

და აი, ამ საბედისწერო ჟამს მასთან მივიდა ლენინგრადის ბოლშევიკების ხელმძღვანელი ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი. თუმცა ამხანაგი ჟდანოვი დატვირთული იყო უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი საქმეებით, მან მაინც გამონახა დრო და საშუალება, რათა ყურადღება მიექცია დიდი პოეტის — პუშკინის შორეული ნათესავის ვერა კაეტანის ასულ ჰანიბალის ოჯახის ბედისათვის. ამხანაგ ჟდანოვის პირდაპირი ძონაწილეობით და დახმარებით ჰანიბალის ოჯახი ევაკუირებულ იქნა გარემოცულ ქალაქიდან.

ვერა ჰანიბალი ახლაც იგონებს გულთბილად ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვის მზრუნველობას.—ჩაგვასახლეს სამოთახიან მშვენიერ ბინაში, ხშირად გვეკითხებიან, ხომ არაფერი გჭირდებათო...

ვერა ჰანიბალისა და მისი ოჯახისადმი ესოდენ მშობლიური მზრუნველობა იმის ერთ-ერთი გამოხატულებაა, თუ რა ძლიერად უყვარს საბჭოთა ხალხს გენიალური რუსი პოეტი ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინი.

**სურათზე:** ტანია კლიმენკო (მარცხნივ) და მისი ბებია ვერა კაეტანის ასული ჰანიბალი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# პუშკინი საქართველოში

ლარსის ხეობა გადმოიარე,
გადმოუქროლე დარიალს ლხენით,
არაგვის ჭალებს მოელხინარე
და შემოაგდე თბილისში ცხენი.

მოხველ, დაგიხვდით ძენი ივერის,
რომ შეგიყვარეთ ნათელხმიანი.
შენზე მღეროდა ამერ-იმერი
და თვითონ ჩვენი ორბელიანი.

შემოგაგებეთ ქართული სუფრა
ქართლის დედების მზრუნველი ხელით,
და შენი ლექსი სიმღერით უთქვამს
თვით ჭავჭავაძეს მაღალი ყელით.

ყრმა თუ შემოგხვდა ბარათაშვილი—
ჩვენი მღელვარე სული და გული,
ნეტავ გენახა ულვაშაშლილი
ის მთაწმინდაზე ამღერებული.

შენებრ მოსდევდა სიტყვა ფხიანი
და აწვალებდა ბედი ივერის...

ეჰ, როგორც ჩვენი ორბელიანი
თქვენც რატომ ტკბილად არ დაგვიბერდით!
ეჰ, რა ვიცოდით, დანტესის ხელით
ჩაგიქრებოდა პოეტს ნათელი,
თორემ აქედან, ჩვენ ასე ქველნი,
არ გაგიშვებდით მაშინ ქართველნი.

შენც იმღერებდი გორის მახლობლად,
ვით თქვენში ჩვენი გურამიშვილი,
ქართლის კალოზე გავლეწდით ხორბალს,
გაგახარებდა ძნები ჩაშლილი.

და ჩვენი მკვიდრი სული და გული,
მაშინ კი ახლად ულვაშაშლილი,
შენებრ გულწრფელად ამღერებული
შენთან ივლიდა ბარათაშვილი.

შენთან ივლიდა სიტყვაფხიანი
დაფიქრებული ივერის ბედით...
ეჰ, როგორც ჩვენი ორბელიანი
თქვენც რატომ ტკბილად არ დაგვიბერდით.

შალვა ფორჩხიძე



პუშკინის ავტოგრაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაშისტთა ნაკვალევი წაშლილია



ა. ს. პუშკინის ძეგლი მოსკოვში

რვა წლის წინათ ვერაგულად თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას ჰიტლერული გერმანია. ფაშისტებმა დაანგრიეს, წაბილწეს, მიწასთან გაასწორეს ომის პირველ პერიოდში მათ მიერ დროებით ოკუპირებული საბჭოთა სოფლები და ქალაქები, ისტორიული ძეგლები, ძვირფასი ნაგებობანი. ბარბაროსმა ჰიტლერელებმა წაბილწეს და აოხრეს აგრეთვე გენიალური რუსი პოეტის ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინის სახელთან დაკავშირებული ადგილები. აი, სოფელი მიხაილოვსკოე. ვის არ გაუგონია ეს ძვირფასი სახელი!

მიხაილოვსკოე პსკოვის ოლქის სოფელია, მდინარე სოროტის მაღალ ნაპირზე გაშენებული. აქ გაუტარებია პოეტს ღირსსახსოვარი დღეები, აქ დასწერა მან მრავალი გენიალური მხატვრული ნაწარმოები, მთელი რიგი თავები „ევგენი ონეგინიდან“, „ბორის გოდუნოვიდან“, „ბოშებიდან“.

აი, მოკლედ მიხაილოვსკოეს ისტორია: მიხაილოვსკოე და მისი მოსაზღვრე სოფელი პეტროვსკოე ელისაბედ პეტრეს-ასულს 1742 წელს უჩუქებია ა. ს. პუშკინის მამის ბაბუასათვის (დედის მხრიდან) — აბრამ პეტრეს-ძე ჰანიბალისათვის. ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ მიწები გაუყვიათ მის შვილებზე. სოფელი მიხაილოვსკოე წილად რგებია ოსიპ აბრამის-ძეს, რომლისაგან შემდეგ 1806 წელს იგი მიუღია ნადეჟდა ოსიპის-ასულს — გენიალური რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დედას.

და აი, საბჭოთა ხალხისათვის ეს ძვირფასი და საყვარელი ადგილი, მჭიდროდ დაკავშირებული დიდი რუსი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან, — გაანადგურეს, წაბილწეს ფაშისტმა აიაზაკებმა. მათ დასწვეს პოეტის სახლ-მუზეუმი, პოეტის აღმზრდელი ძიძის არინა როდიონის-ასულის სახლი. მიხაილოვსკოესა და ტრიგორსკოეს პარკები გადათხარეს, დახლართეს იგი ტრანშეებითა და სანგრებით, ააფეთქეს სვიატოგორსკის მონასტერი, დანაღმეს პოეტის საფლავი და მოამზადეს იგი ასაფეთქებლად.

უდიდესი შურისძიების გრძნობით იყვნენ აღვსილნი საბჭოთა მეომრები, ისინი ისწრაფოდნენ წინ, რათა გაენთავისუფლებინათ ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასი ეს ადგილები, სამაგიერო მიეზღოთ ფაშისტი ველურებისათვის.

და აი, 1944 წლის 12 ივლისს საბჭოთა არმიის ნაწილებმა გაანთავისუფლეს მიხაილოვსკოე, არ დააცალეს ფაშისტებს ბოლომდე მიეყვანათ ბოროტი ზრახვები — მთლად მიწასთან გაესწორებინათ პუშკინის სახელთან დაკავშირებული მიდამოები.

ამჟამად საბჭოთა მთავრობის ზრუნვითა და ღონისძიებებით მთლიანად აღდგენილია ა. ს. პუშკინის სახლი მიხაილოვსკოეში, სვიატოგორსკის მონასტერი, სადაც დამარხულია დიდი პოეტი. პოეტის სახლს აქვს პირვანდელი სახე.

ასე წაშალა საბჭოთა ხალხმა ფაშისტ ბარბაროსთა მძიმე, სისხლიანი ნაკვალევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პუშკინი  მთაწმინდაზე

ბაღებში ვარდი ჰყვაოდა
სალხენად ფეხზე დამდგარი,
თვალს იტაცებდა თბილისი
თაიგულებში ჩამჯდარი.
კოჯრიდან მოჩურჩულებდა
ნიავი ტკბილმოუბარი,
დროდადრო ამღერდებოდა
და ყურს უგდებდა სტუმარი;
პეტერბურგელი სტუმარი,
არზრუმის ცეცხლის მნახველი,
სიტყვის მზე — დიდი პუშკინი,
ხალხის ლხენა და ნაღველი.
უსმენდა, — ჩაიღიმებდა,
ხან ჩუმი სევდით კრთებოდა:
თეირანელთა დაღვრილი
ძმის სისხლი აგონდებოდა.
აგონდებოდა მისი ხმა
გულის იმედად განცდილი.
დროდადრო კიდეც ეძახდა
გრიბოედოვის აჩრდილი.
შემოეძალა ფიქრივით
ნაღველი — ცეცხლი უალო
და ჭირისუფლის წუხილით
მთაწმინდას თვალი მოავლო.

კლდეც მთიდან თითქოს ეძახდა
ცისკენ ფარივით აწვდილი...
ქუჩებს გაშორდა, მონახა
ვიწრო ბილიკი მთაწმინდის.
მონახა მაღლა, მთის ძირას
მეგობრის ბინა - სათვარი —
ბალახით დაუფარავი
გრიბოედოვის საფლავი.
მუხლი მოხარა, — და მოსწყდა
ცრემლის ალმასი თვალს წყვილად,
სამარის ქვაზე დაეცა,
გაიშალა და გაბრწყინდა.
მგოსანი ქვას ეამბორა
ფერმკრთალი, ფიქრით დაღლილი...
წამოდგა, მტკვრიდან მოესმა
ნიავის ამოძახილი.
ყური დაუგდო, — მღეროდა
თბილისი მთებში ჩამჯდარი,
მღეროდა ასჯერ დაჭრილი,
ასჯერ კვლავ ფეხზე დამდგარი, —
როგორ ტყდებოდა მის მკერდზე
ირანელების აბჯარი.

**გიორგი კაჭახიძე**



პუშკინის ნახატი, რომელშიაც გამოხატულია თავისივე ბრძოლა თურქებთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გახსოვდეს, რომ შენ პიონერი ხარ!

ყოველი პიონერი ატარებს წითელ ყელსახვევს.

წითელი ფერი — ეს არის ფერი თავისუფლების. გვიყვარს ეს ფერი, რადგან ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ეს ჩვენი უდიდესი ბედნიერებაა. მაგრამ გახსოვდეს შენ, ნორჩო მკითხველო, როცა უზიხარ ბიოლოგიის სახელმძღვანელოს, როცა ემზადები სასკოლო ჭადრაკის ტურნირისათვის ან თვითმფრინავის მოდელს ამზადებ, ამ დროს ნიუ-იორკში შენი ტოლი ბავშვი ფეხსაცმელს უწმენდს ვინმე მდიდარს, ფულის ნაცვლად მუშტს ღებულობს, თუ მისი ოფლის წვეთი შემთხვევით დაეცა გაპრიალებული ფეხსაცმელის წვერს. უელსში (ინგლისში) ამ დროს შენი ხნის ბავშვები ათი საათის განმავლობაში მაღაროებიდან ვერ გამოდიან და დღის სინათლეს ვეღარ ხედავენ. მათ რაღაც კაპიკები ეძლევათ იმ მონური შრომისათვის, რომელსაც ისინი მაღაროებში ეწევიან.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ბავშვთა შრომა ყველაზე უფრო იაფფასიანია, რადგან ბავშვების მოტყუილება ადვილია.

მცხუნვარე, მწვავე ტროპიკული მზის ქვეშ წერა-კითხვის უცოდინარი შენი ტოლები ოფლს ღვრიან კაუჩუკის პლანტაციებში. გომინდანელთა ჩინეთის ღარიბ სოფლებში ათი წლის ბავშვი, რომელსაც თავის დღეში საპონი არ უნახავს, დილიდან დაღამებამდე მუშაობს, რომ მოიპოვოს ერთი მუჭა ბრინჯი სადილისათვის და ჩვრების ნაგლეჯები, რომ შიშველი ტანი შეიმოსოს.

ეს იმისათვის ხდება, რომ ისინი და მათი მშობლები მოკლებულნი არიან ყველაზე უფრო ძვირფასს — მოკლებული არიან თავისუფლებას; მოკლებულნი არიან იმ ბედნიერებას, რომელიც ბრძოლით მოიპოვეს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა — ეს ბედნიერება არის საბჭოთა სახელმწიფო, შექმნილი ლენინისა და სტალინის გენიით.

პიონერთა ორგანიზაცია ატარებს ლენინის სახელს. 25 წლის წინათ მიეკუთვნა მას ეს საპატიო სახელი. იყო პიონერი — ეს ნიშნავს იყო ლენინელი. ეს ნიშნავს იყო ყოველთვის სამაგალითო. ლენინმა ჩვენ გვიანდერძა სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა. სწავლა — ეს პიონერის მთავარი პატრიოტული საქმეა. სწავლა — ეს არის მზადება ბრძოლისათვის. თავისუფლებისა და ბედნიერების მოპოვება უბრძოლველად არ შეიძლება. ის მოითხოვს ვაჟკაცობას, რწმენას, ცოდნას. ამიტომ, თუ შენ ნამდვილი პიონერი ხარ, სწავლაში ყოველთვის უნდა იყო მოწინავე, უნდა გახსოვდეს, რომ სიტყვა პიონერი პირველს, მოწინავეს ნიშნავს.

პიონერი არ უნდა ჩამორჩეს საბჭოთა ხალხის ცხოვრებას; პიონერს უფლება არ აქვს იყოს გულგრილი იმისადმი, რითაც ცხოვრობს ჩვენი ქვეყანა.

კოლექტივიზაციის წლებში, როცა საბჭოთა ქვეყანა კულაკობას ებრძოდა, პიონერმა პავლიკ მოროზოვმა გამოიჩინა სიფხიზლე და გმირობა. მან თავისი სიცოცხლე ხალხის საქმეს ანაცვალა.

დიდი სამამულო ომის წლებში კიეველი პიონერი კოსტია კრავჩუკი მტრის ზურგში ორი წლის განმავლობაში ინახავდა საბრძოლო დროშას, თუმცა იცოდა, რომ ამისათვის სიცოცხლის განწირვაც მოუხდებოდა. დროშის შენახვით კოსტიამ წითელარმიულ პოლკს არსებობა შეუნარჩუნა. — თუ დროშა დაიკარგა, მაშინ პოლკი წყვეტს არსებობას, — ასე ფიქრობდა კოსტია.

პიონერო! შენი წითელი ყელსახვევი განა შენი პატარა წითელი დროშა არ არის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სიმწიფის ატესტატი

გრ. ესებუა

თერთმეტი წელი სკოლაში დაჰყო,
მისი კედლები დატოვა გუშინ...
შეჰხარის ცოდნის დიდებულ ნაყოფს—
ძვირფას ატესტატს იხუტებს გულში.

თვალწინ დაუდგა სექტემბრის დილა,
სკოლაში შესვლის ჟამი პირველი...
რა დრო გასულა, როგორ გაზრდილა,
დღეს საამაყო კომკავშირელი!

მან აირჩია მეგობრად წიგნი,
მასში იპოვა ციმციმი მზისა.
სკოლის მერხზედაც ხედავდა იგი
დიად მომავლის სანუკვარ მიზანს.

სურს აიხდინოს ყველა ოცნება,
ხომ ბეჯითობას არის ჩვეული!
მეცნიერების შესისხლხორცება,—
აი, მომავლის გზა არჩეული.

დიდხანს წიგნებთან ათია ღამე
და სიხარულით უცემდა გული;
ხვალ ინსტიტუტის კარებს შეაღებს
ცოდნის წყურვილით თვალანთებული.

განა ეს არ არის სიმბოლო პატიოსნებისა, გამბედაობისა?!

კოლია პერეტიატკომ არ მოიხსნა წითელი ყელსახვევი, როცა მისი მშობლიური აკიმოვკა ხელთ იგდეს გერმანელებმა. ჰიტლერელი ჯარისკაცი მივარდა პიონერს, რომ ჩამოეგლიჯა მისთვის წითელი ყელსახვევი, მაგრამ კოლიამ არ დაუთმო. ორივე ხელი სტაცა თავის ყელსახვევს. მაშინ ჰიტლერელმა იშიშვლა ხანჯალი და ორივე ხელი მოჰკვეთა კოლიას. კოლია გარდაიცვალა. მოკვდა ისე, როგორც კვდებიან გმირები.

პიონერის სახელთან ბევრი კარგი რამ არის დაკავშირებული. ამ სახელთან დაკავშირებულია გამბედაობა, ცოდნა, სამშობლოსადმი ერთგულება, მიზნის გარკვეულობა; ამ სახელთან დაკავშირებულია მისწრაფება — შესწირო შენი სიცოცხლე კომუნიზმის მშენებლობას. ეს ძნელი საქმეა, მაგრამ პიონერს არ ეშინია სიძნელეების; ეს საერთო საქმეა და ამისათვის პიონერი ყოველთვის კოლექტივის ერთგულია, ყოველთვის ეხმარება ამხანაგს.

ჩვენს ირგვლივ მრავლად არიან პიონერები — ნამდვილი ლენინელები. ისინი არა მარტო ცოდნის მეძენისაკენ ისწრაფვიან, არამედ ეხმარებიან ამხანაგებს, ეხმარებიან მასწავლებელს. მათ უყვართ თავიანთი ქვეყანა, მოგზაურობენ მშობლიურ მხარეში, იკვლევენ მდინარეებსა და ტბებს, აგროვებენ მინერალების კოლექციებს, იწერენ ხალხურ სიმღერებს; ისინი აშენებენ ბაღებს, ამწვანებენ სკოლის ნაკვეთებსა და ქუჩებს; ისინი ურთიერთ შორის ამტკიცებენ პიონერულ მეგობრობას, ქალაქიდან სოფლად აგზავნიან წიგნებს; ისინი ეხმარებიან უფროსებს ნათესების მოვლაში, მოსავალის აღებაში... ბევრი, ბევრი საქმეა ჩვენს ქვეყანაში პიონერის ხელით გასაკეთებელი. ბევრი გვყავს ისეთი პიონერები, რომელთა საქმიანობით შეგვიძლია ვიამაყოთ.

გახსოვდეს, რომ შენ პიონერი ხარ. ეს მეტად დიდი სახელია. ის მოითხოვს დიდ საქმეს, მაღალ ღირსებას. ხალხი შენ იმედით შემოგყურებს, შენგან ბევრს მოელის, — ეს იმედი და მოლოდინი უნდა გაამართლო.

**ბორის ბეთანელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




კარმენ ლორია

ნინეზას დღიურიდან

ნახ. შ. ცხადაძისა

I

გუშინ ჩამოვედით. ჯერ კარგად არ ვიცნობ აქაურობას. მაგრამ პირველი შთაბეჭდილება დამაკმაყოფილებელია.

მდინარის პირას გაშლილ ველს მწვანე ტყით შემოსილი მთა გადმოჰყურებს. აქ არის გაშლილი ჩვენი ბანაკი. ნელი სიო ჰქრის. ცაცხვის ყვავილების სურნელება გვატკბობს.

პირველად ვარ ბანაკში, ისიც ქართლში, მდინარე მტკვრის პირას.

ბათუმიდან ათი პიონერი წამოვედით. ოთხი მათგანი ერთი სკოლიდან ვართ.

რომ არ დამეჟინებია, ჩემი მშობლები წელსაც არ გამომიშვებდნენ. თვითონ წამიყვანდნენ რომელიმე აგარაკზე, ოთახში ჩამკეტავდნენ, წამლებისა და ნაირ-ნაირი საჭმელების დაძალებას დამიწყებდნენ და ყველაფერს მომაბეზრებდნენ; ან ბებიასთან გამგზავნიდნენ ხულოში და, აბრეშუმის ჭიასავით, იქაც საჭმლის დაძალებას დამიწყებდნენ.

მამაჩემი ინჟინერია, დედა პედაგოგი. მათი ერთადერთი შვილი რომ ვარ, შეიძლება იმიტომ მეპყრობიან ასე.

დღეს დილით თბილისიდან ჩამოსული პიონერები გავიცანით. კარგი ბავშვები არიან — მოძრავნი, სიცოცხლით სავსენი. განსაკუთრებით მომეწონა მათი მეტყველება. სიტყვების დასრულებული გამოთქმა, დარბაისლური კილო, სიდინჯე.

ენა მეც კარგად ვიცი. წერაშიაც იშვიათად დავუშვებ შეცდომას, მაგრამ მეტყველებით ნამდვილი აჭარელი ვარ, გურული. მე კი მინდა ისეთი მეტყველება მქონდეს, როგორც თბილისიდან ჩამოსულ პიონერებს. განსაკუთრებით გურამის ლაპარაკმა მომხიბლა.

გურამი, დაბალი, ჩასკვნილი შავგვრემანი ბიჭია, ტკბილმოუბარი. ლაპარაკს რომ დაიწყებს, ყურს ვერ მოაშორებ.

II

მესამე დღეა ბანაკში ვარ. საუკუნედ მეჩვენება ეს დრო. მშობლები მომენატრა. თავისუფლად, ყოველგვარი დისციპლინისა და რეჟიმის გარეშე ყოფნა მომინდა, აქ კი ყველაფერი წინასწარ შემუშავებული წესის მიხედვით უნდა გააკეთო. არც უარი გადის, არც პროტესტი.

წარმოიდგინეთ, მაინც ყველა შეეგუა ამ რეჟიმს. თითქოს აქ შობილნი და აღზრდილნი იყვნენ, ისე გრძნობენ თავს. ახალგაცნობილები დიდი ხნის მეგობრებივით ექცევიან ერთმანეთს. მე სულ ხუთიოდე პიონერი გავიცანი და იმათთანაც ვერ ვიპოვე საერთო ენა. ჩემი დამეგობრება კი ყველას გულითა და სულით სწადია. გურამი გუშინ სულ ჩემს ახლოს ტრიალებდა. ცდილობდა უფრო დაახლოებას, მაგრამ ყველაფერი ეს დამდურებით დამთავრდა. უბრალოზე ვაწყენინეთ ერთმანეთს... მთების სიმაღლეზე ვლაპარაკობდით. მე ვთქვი ყაზბეგი იალბუზზე მაღალია-მეთქი. ეჭვი არავის გამოუთქვამს, მაგრამ გურამი შემეკამათა. იალბუზი უმაღლესიაო. არ დავუთმე. მეგონა, ხათრს დამდებს, ჩამომეხსნება-მეთქი, მაგრამ... კერპი ყოფილა, გაიქცა, გეოგრაფიის სახელმძღვანელო მოარბენინა და ყველას გასაგონად წაიკითხა.

გავწითლდი. თვალებიდან ცეცხლი გადმოვაფრქვიე. მეტიჩარა, თავხედი, უზრდელი ვუწოდე. თვალებზე ხელი მოვიფარე და იქაურობას ტირილით გავეცალე. ყველას ეწყინა ეს ამბავი. გურამს მისმა ამხანაგებმა უსაყვედურეს, რათ აწყენინეო. ეთქვა როგორც უნდოდაო. ეტყობოდა გურამიც ნანობდა, თუმცა ამტკიცებდა, რომ კარგად მოიქცა.

აქ მე მომცვივდნენ ბათუმელი პიონერები: რა გვიქენი, რა ჩაიდინე, თავი რად მოგვჭერიო. ის ბავშვი მართალი იყო, გინებას რას

ემართლებოდით. ახირებული ხასიათისა ხარო.

ვიტირე, ბევრი ვიტირე და ოდნავ დავმშვიდდი. სჩანს მართლაც ახირებული ხასიათი მქონდა. იმიტომაც ვერ გავიჩინე მეგობარი.

მართლაც სირცხვილი ვაჭამე ამხანაგებს.

„დახეთ, როგორი ყოფილან აჭარელი გოგონებიო“, — სთქვა ერთმა, ჩვენს გასაგონად.

ნაზიკოს ეწყინა. აჭარლები კი არა, მარტო ერთი ხინეზაა ასეთიო. შემდეგ ისევ მე მოშალდგა და არაფრით დამზოგა. ჩვენს რიგებში გასარჩევებელი არ ხარო.

ოჰ, როგორ მომბეზრდა აქაურობა. როგორ მინდა დედასთან ვიყო, მამასთან, ბებიასთან, იქ ვინ გაბედავდა ჩემს წყენინებას! მათთვის სულ ერთი იყო, ყაზბეგი იქნებოდა მაღალი თუ იალბუზი.

## III

ადამიანი ტყვეობასაც ეჩვევაო, გამიგონია ბებიასაგან. ხელხელა ვეჩვევი აქაურ რეჟიმს. გუშინ პირველად მეძინა „წყნარ საათში“, მეძინა ტკბილად და უდარდელად. როცა გამაღვიძეს, არ მესიამოვნა, მინდოდა გავჯავრებულიყავი, მაგრამ, რომ შევხედე მთელი ბანაკი ფეხზე დადგა და ერთიანულად იქცა, მეც სხვებს მივბაძე. დღეს დილის დაფიონზე არ დამაზარებია ადგომა, ნასადილევსაც უთქმელად მივედი საწოლთან, გავიხადე, ჩავწექი და დავიძინე.

მომიწონეს ამხანაგებმა საქციელი. შეაქეს, აწი უფრო შეეჩვევიო, მითხრეს.

შეიძლება მართალი იყოს. მეც ვამჩნევ — ყველას ვეჩვევი და ვეგუები, გურამის გარდა. თუმცა ამხანაგები გაგიჟებულნი არიან მისით. ნაზიკო მუდამ მასთან დადის, სხვებიც მას დაჰყვებიან.

სიმართლე, რომ ითქვას, ცუდი ბავშვი არაა გურამი. სერიოზულია, ნაკითხი, გონებამახვილი. ყველაფერი იცის: სიმღერა, ცეკვა, თამაში, ხუმრობა, ზოგჯერ ისეთ რამეებს იტყვის, რომ სიცილით სკდებიან. თავს რომ არ ვიკავებდე, მეც ვიხარხარებ, მაგრამ ახლა თითქოს არაფრად ვაგდებ.

მეჯავრება, მაგრამ რატომღაც სამაგიეროს ვერ ვღებულობ მისგან. ის კვლავ თავაზიანად არის, შორიდან მაძლევს სალამს, ღიმილით მეგებება. მე კი მის დანახვაზე წარბებს შევხრი, პირს მოვარიდებ, გვერდს ავუქცევ და გავშორდები.

ერთხელ ისე საშინლად დავწყევლე, რომ ნაზიკოსაც გაუკვირდა. სად ისწავლე, შე წყეულო, ასეთი, საშინელი სიტყვებიო. დამტუქსა, წყევლა არაფერია, იმით არავის არაფერი დაუშავდება, მაგრამ საწყენიაო.

მეც ვიცი ასეა, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთი ხასიათი მაქვს და...

ზოგჯერ მეც არ მომწონს ჩემი ხასიათი, გადავწყვეტ შევიცვლი ზნეს-მეთქი, შევეცდები სხვაგვარად მოქცევას, მაგრამ ვერ ვახერხებ. როცა შევნიშნავ ჩემს თავმოყვარეობას შელახავს რამე, მაშინვე მავიწყდება ყველაფერი და ცეცხლივით ავენთები.

გუშინ დედას წერილი მივწერე. მინდოდა ნაღველი გამემხილა, შემეთვალა ჩამოდი, მეთქი, მაგრამ თავმოყვარეობამ არ დამანება. აკი თვითონ მე დავიჟინე, ბანაკში გამიშვით, მეთქი! ახლა ვინანო? არა, არასოდეს!

შეიძლება ზოგჯერ შეცდომის აღიარება სჯობდეს, მაგრამ მე არასოდეს არ ვიკადრებ ამას. როგორ, მე გურამს როდისმე სალამზე ვუპასუხებ, გავუღიმებ, დაველაპარაკები?! მის წინაშე ვიტყვი, რომ ის მართალია, რომ იალბუზი ყაზბეგზე მაღალია?! ათასჯერ რომ თვითონ დავინახო იალბუზი და დავრწმუნდე ყაზბეგზე მაღალია, მაინც არ ვიტყვი.

## IV

გუშინდელი დღე არასოდეს არ დამავიწყდება. ქართველი მწერლები ეწვივნენ ჩვენს ბანაკს და ლიტერატურული დილა გამართეს... ნაწერებით ყველას ვიცნობდი, მაგრამ პირადად არცერთი მათაგანი არ მენახა.

ერთი მოხუცი მწერალი ქალი ახლდათ, თავაზიანი და კეთილი სახისა. თეთრი თმა ნათელის გვირგვინივით ადგა თავზე.

— ნინო დეიდა, ჩვენი ნინო დეიდა! — შესძახეს ბავშვებმა და წიწილებივით მიაშურეს. დეიდა ნინომ ხელები გაშალა და მასთან მიცვენილი ბავშვები ერთად მოიმწყვდია შიგ. შემდეგ ყველას სათითაოდ გადაუსვა თავზე ხელი და მიუალერსა.

მე მივხვდი ვინც იყო დეიდა ნინო. ჟურნალ „დილასა“ და „პიონერში“ მრავალჯერ წამიკითხავს მისი მოთხრობები და ზღაპრები. დედაჩემისაგანაც გამიგონია: — მიყვარს ნინოს მოთხრობების კითხვაო. ბევრჯერ მინატრია, რომელიმე მწერლის ნახვა, მასთან საუბარი, მაგრამ ასეთი შემთხვევა არასოდეს არ მქონია. ახლა ამდენი მწერალი ერთად რომ ვიხილე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ამ სიხარულს თან ახლდა წყენა და სინანულიც. მწყინდა, რომ ეს თავმომწონე და ამაყი გოგონა აქ, ამ შემთხვევის დროს უკანასკნელი აღმოვჩნდი. სხვებმა დამასწრეს. ყველამ ჩემზე ადრე დაიკავა ადგილი მოწინავე ადამიანების გვერდით.

ალბათ შემამჩნია ნაღველი, დეიდა ნინო მომიახლოვდა, თვალებში ჩამაცქერდა და ტკბილად მკითხა:

— რა გქვია, გოგონა, შენ?



Тбилисский Филиал
Библиотека
საქართველოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნინეზა, — ვუპასუხე და გული კინაღამ ამოვარდა ბუდიდან.

— სადაური ხარ?

— ბათუმიდან. მამაჩემი ხულოდან არის.

— აჭარელი?

— დიახ, მივუგე მე.

— მეზობლები ვყოფილვართ. მე გურული ვარ.

ხელი მომხვია მკერდზე მიმიკრა და შუბლზე მაკოცა. ასე მეგონა ყველაზე ძვირფასი ვარსკვლავი მოსწყდა ცას და კალთაში ჩამიგორდა. სიხარულის ცრემლებმა დანამა თვალები.

— რა ამბავია, ნენა, თქვენში? — შემეკითხა დეიდა ნინო და მკლავში მკლავი გამიყარა.



მე ახლა შევნიშნე, რომ ნინოს ლაპარაკი ჩვენებურს ჩამოგავდა, გურულს. მე კი მეგონა, ყველა მწერალი ისე ლაპარაკობდა, როგორც სწერენ ხოლმე.

— ჩვენში მშვიდობაა, დეიდა ნინო, — მივუგე, — ვსწავლობთ, ვკითხულობთ. გვიყვარს თქვენი ნაწერების... — ვერ მოვახერხე აზრის დაბოლოება.

— ასე უნდა, ასე,—მითხრა ნინომ,—უნდა ისწავლოთ, ერთმანეთს დაეხმაროთ, ხელი შეუწყოთ...

ბანაკის პიონერთა სახელით სტუმრებს გურამი მიესალმა. ის ისეთი წმინდა, დაწყობილი და სწორი ქართულით ლაპარაკობდა, რომ ყველას მოეწონა და ტაშით დააჯილდოვეს.

ამის დანახვაზე ბრაზი მომერია. შემშურდა გურამის ბედი და უფრო შემძულდა იგი. რატომ, რა მიზეზით, არ ვიცი, ვერ გიპასუხებთ. შეიძლება იმიტომ, რომ მე დავიჩრდილე. მაჯობა, ჩემს წინ დადგა... დიახ, მართალია. ვერ ვითმენ, როცა ვინმე გამისწრებს.

არ იფიქროთ, ვინმესათვის ცუდი მინდოდეს, ბოროტი ვიყო, ამხანაგის კარგი არ გამეხარდებოდეს. არა. მე ყველასათვის კარგი მსურს. მაგრამ იმ კარგებს შორის მე მინდა უკეთესი ვიყო.

ლიტერატურული დილა მეტად ხალისიანად ჩატარდა. სტუმრებმა ახალი ლექსები და მოთხრობები წაგვიკითხეს. პიონერებმაც თქვეს ლექსები. მეც მთხოვეს წამეკითხა რამე, მაგრამ უარი ვთქვი. ვგრძნობდი, ვერავის დავჩრდილავდი, სხვას ვერ ვაჯობებდი, — და მეწყინებოდა.

ისევ იმით ვიმშვიდებდი თავს, რომ დეიდა ნინოს ახლო ვიდექი. ნინოც განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდა, და ჩემი თავმოყვარეობა ამით ოდნავ დაკმაყოფილებული იყო...

ცხელა, საშინლად ცხელა, უნდა გავიპარო მტკვარზე და ვიბანაო. მაგრამ ეს გაპარვაც რომ ძნელია! გვითვალთვალებენ, გვიფრთხილდებიან.

არა, მე მაინც მოვახერხებ გაპარვას. მივდივარ...

V

თვალი რომ გავახილე და ჩემს საწოლთან მთელი ბანაკის პიონერები და ხელმძღვანელები დავინახე, გამიკვირდა.

— როგორ ხარ შვილო?—ტკბილი ხმით მეკითხება ბანაკის ხელმძღვანელი, დეიდა დარიკო.

იქ მყოფთა თვალებიც იმავე კითხვით მომჩერებიან.

— როგორ უნდა ვიყო?—ვეკითხებ ჩემს თავს, — ნუთუ ცუდად ვარ! მე ვერაფერს ვგრძნობ, ვწევარ ჩვეულებრივად, მეძინა და გამეღვიძა. მაგრამ... ეს სადა ვარ? ეს არაა ჩემი ბინა. იქ ოთხი ტახტი იდგა, აქ კი ერთი დგას. იქ ცაცხვის სურნელება შემოჰქონდა ნიავს, აქ კი წამლების სუნი ტრიალებს.

დაბეჯითებით ვაცქერდები ყველას. ჩემს ახლოს ბათუმელი ამხანაგები შეკრებილან.

მათი სევდიანი გამოხედვა მაშინებს. ნაზიკოს ნამტირალევი თვალები აქვს. ცირასაც უტირნია, თალიკოსაც...

ნუთუ მე ვარ ამის მიზეზი?. ასეთი რა ჩავიდინე!

აჰა მივხვდი, საბანაოდ რომ გავიპარე, ის თუ გაიგეს?.. მერე რა, ეს რა საშწუხარო იყო! ნეტავ, ვინ მიჯამუშა? მე ხომ არავის შევუნიშნივარ! მაგრამ დაიცა.. მაგონდება, იმ არამზადამ თუ შემნიშნა, ცაცხვის ხესთან რომ იდგა! გასაგებია. გაიძვერა ყოფილა, დასმენაც სცოდნია. საძაგელი.

მაგრამ რად ვწევარ ახლა აქ? დაიცა მოვიგონო... მდინარის პირას გავიხადე, წყალშიგადავეშვი და... მერე, მერე? მხარულით გავსრიალდი... დიახ, დიახ, ასე იყო, შემდეგ? უეცრად რაღაცამ წისქვილის ქვასავით დამატრიალა და... შემდეგ... არაფერი მახსოვს.

— ნინეზა როგორ ხარ, გოგო? — მომეალერსა ნაზიკო.

— ნინეზა, შემოგვხედე, გვითხარი რამე!— დიდრონი შავი თვალებით მომჩერებია ნათელა და ნაძალადევად მიღიმის.

პასუხს არავის ვაძლევ.

ვიღაცას ჩემი მაჯა უჭირავს ხელში და მაჯისცემას ამოწმებს. თვალი ავავლე და ბანაკის ექიმი კატო ვიცანი.

სჩანს მე ვყოფილვარ ამ ადამიანების შეწუხების მიზეზი. ხედავ, ყველას ვყვარებივარ!

—გადავარჩინეთ, დავიბრუნეთ. — ამბობს ექიმი და შუბლზე მადებს ხელს.

ისევ გადავავლე ხელი იქ მყოფთ. ყველას გულში ჩავიხედე და მესიამოვნა—ყველაში ჩემდამი სიყვარული და თანაგრძნობა დავინახე.

დიახ, ვყვარებივარ ყველას, ყველას, გარდა იმ ერთისა, რომელიც ამჟამად აქ არ არის. ის გამონაკლისი ყოფილა ამდენ კეთილ ადამიანებს შორის, რატომ არ არის ახლა აქ? რატომ არ მითანაგრძნობს? მართალია მისი შეხედვა არ მსიამოვნებს, მაგრამ მაინც მწყენია, აქ რომ ვერ ვხედავ.

მაგონდება ყველაფერი. ვგრძნობ დანაშაულს, არ უნდა გავპარულიყავი, უმეთვალყუროდ არ უნდა გამებედნა მდინარეში ჩასვლა. დამნაშავე ვარ... სჩანს ვიღაცას გადავურჩენივარ. კიდევ კარგი. დიდი მადლობა მას...

არ იფიქროთ მარტო ჩემი გადარჩენისათვის ვეუბნები მადლობას. არა. რომ იმ მადლიანს არ გადავერჩინე, ხომ უნდა დამწუხრებულიყო ამდენი კეთილი გული, ხომ უნდა დატანჯულიყვნენ ჩემი მშობლები! აქეთ რომ მამგზავრებდნენ, მამაჩემმა თქვა: ნინეზას უმისოდ ორმოცი დღე როგორ გავძლო... დალუპვის ამბავს რომ გაიგებდა, როგორ მოიქცეოდა!..

ესენი, ეს ჩემი ამხანაგები, მთელი ბანაკი, ჩემი ერთგული მეგობრები — ნაზიკო, ოთარი, ნათელა... როგორი გულით უნდა გაბრუნებულიყვნენ აქედან?!

დასასჯელი ვარ და უნდა დავისაჯო კიდეც, რომ სხვამ ვერ გაბედოს მსგავსი დანაშაულის ჩადენა.

— კარგად ვარ, გოგო, — დაველაპარაკე ნაზიკოს და გავიღიმე.

— ვაშა, ვაშა! — შესძახეს ბავშვებმა და შემომეხვივნენ. სათითაოდ ჩამკოცნა ყველამ. ოთარიც მოვიდა მორცხვად, დაიხარა და შუბლზე მეამბორა. მისი უმანკო კოცნა იმდენად ტკბილი და საამო იყო, რომ დედის კოცნიდან ვერ გამერჩია.

ახლა მე ყველაზე ბედნიერი ვიყავი, როცა ჩემს ირგვლივ იმდენი ამხანაგი იდგა და ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი ვიყავი.

მეც ვიგრძენი, რომ ისინიც ასევე ძვირფასი და საყვარელნი იყვნენ ჩემთვის, როგორც თვითეული მათგანისთვის მე.

ვგრძნობ დიდი გარდატეხა ხდება ჩემში.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# შინ დაბრუნება

**ლენგსტონ ჰიუზი** *

მოთხრობა

ნახ. ვ. ბელეცკაიასი

I

როი უილიამსი მთელი ივა წელიწადი დაეხეტებოდა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში თავის ჯაზ-ორკესტრთან ერთად, და ახლა როგორც იქნა ეღირსა შინ დაბრუნება. დასხეულებული ბრუნდებოდა და გული ეუბნებოდა ძალე მოკვდებიო. უნდოდა მოესწრო დედისა და დის ნახვა. მერე როგორ ენატრებოდა დედა!

ხველა ვენაში დააწყებინა როის, მაგრამ სიკვდილის შიში პირველად პარიზში იგრძნო. შესძულდა ვენა, სადაც ათასობით დამშეული ადამიანები ძლივს დალასლასებდნენ ქუჩებში. სხვები კი, ერთი ნაწილი მცხოვრებლებისა, იმდენ ფულს ხარჯავდნენ ღვინოსა და გემრიელ საჭმელებში! მათ რესტორანებში ხედავდა როი, სადაც იგი ჯაზ-ორკესტრში უკრავდა.

— ამდენი დამშეული ხალხი, ასეთი შიმშილი! — იტყოდა ხოლმე როი თავისთვის. მერე ხველამ უმატა და ისიც პარიზს წავიდა. იქ ცოტა თითქოს მომჯობინდაო, რამდენიმე კონცერტიც კი გამართა და დიდი წარმატება ხვდა. მაგრამ სიკვდილის გრძნობა მაინც არ შორდებოდა და გადაწყვიტა შინ დაბრუნებულიყო, დედა ენახა. იქნებ სამშობლოს ჰაერმაც მიშველოსო, — ფიქრობდა იგი.

ნიუ-იორკში ორი დღე დარჩა და ნახა, რომ მისი ძველი მეგობრები — მუსიკოსები და მსახიობები სამუშაოს საძებნელად დაეხეტებოდნენ ქუჩა-ქუჩა. აქაც ძალიან მძიმე იყო ცხოვრება.

— არა, ჩქარა უნდა წავიდეთ შინ,—გადაწყვიტა როიმ, ის ღამე უძილოდ გაატარა დედაზე ფიქრში. დილით დეპეშა გაუგზავნა დედას—მოვდივარო. ...და აი, იგი უკვე დგას მისურის ერთ პატარა პლატფორმაზე. ჩემოდანი და შავ ფუტლიარში მოთავსებული ვიოლინო იქვე უდევს.

— ერთი, აქ ზანგს შეხედეთ, — თქვა ვილაცამ თეთრკანიანმა და როისკენ გაიშვირა ხელი, — როგორ მოხდენილად აცვია, ევროპული ჩემოდანიც აქვს!

— რბილი ვაგონით ჩამობრძანდა! ამას უყურე! — თქვა მეორემ გაბოროტებით.

როის არაფერი უთქვამს. ჩემოდანი და ვიოლინო აიღო და დანჯღრეული ტაქსი დაიქირავა. ცუდად შეიქნა, ფეხები ეკეცებოდა, ხველა აუტყდა. რა ბოროტი იყო თეთრკანიანთა თვალები! როიმ გაიგონა, როგორ ზიზღით ჩაილაპარაკა ვილაცამ: „ზანგი!“ რამდენი ხანია ასე აღარ უგრძვნია თავისი კანის ფერი.

მაგრამ, აი შინ მოვიდა!

II

როგორ გაიხარა დედამ! უბრალო მუშა-ქალი, იყო, მაგრამ ყოველთვის უხაროდა შვილის ასეთი გატაცება მუსიკით. დიდი ვაივაგლახით უყიდა ვიოლინო, და სანახევროდ შიმშილობდა, რომ ყოველდღიურად მუსიკის მასწავლებლისათვის გადაეხადნა.

ევროპაში რომ გაემგზავრა როი, დედა მწარედ ტიროდა. მაგრამ აგერ, ნამდვილი მუსიკოსი დაბრუნდა. ჰოპკინსვალელი თეთრკანიანებიც კი აქებდნენ მას. მერე რა კარგად აცვია! ოღონდ ძალიან გამხდარა.

დატრიალდა საწყალი ქალი, რას არ აკეთებდა, რომ როგორმე შვილს საჭმელი არ

---

* ლენგსტონ ჰიუზი—ცნობილი ამერიკელი შავკანიანი მწერალია. თავის მოთხრობებში იგი გვიხატავს ზანგების მძიმე, არაადამიანურ მდგომარეობას თანამედროვე ამერიკაში.

(ეს მოთხრობა შემოკლებით იბეჭდება).

მოკლებოდა. როი კი იჯდა და დილიდან საღამომდე ბრამსსა და ბეთჰოვენს უკრავდა.

ბევრი ხალხი მოაწყდა როის კონცერტს, თეთრკანიანებიც და შავკანიანებიც. წინა რიგები 15 ცენტი ღირდა და მხოლოდ თეთრკანიანებს ჰქონდათ იქ დაჯდომის უფლება. უკანა რიგები 20 ცენტი ღირდა და მხოლოდ იქ ჰქონდათ შავკანიანებს დაჯდომის უფლება. ზანგებს ამაყად ეჭირათ თავი. ისინი პირველად ხედავდნენ ფრაკში გამოწყობილ კაცს, პირველად ისმენდნენ ბრამსსა და მასნეს, პირველად ხედავდნენ ევროპიდან დაბრუნებულ ზანგს.

როი ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ გატაცებით უკრავდა! სევდას მოეცვა საბრალო ჭაბუკი. გრძნობდა ვერ ასრულდებოდა მისი ტკბილი ოცნება: ვერ გახდება სახელმოხვეჭილი მუსიკოსი; დასნეულდა, ცუდად არის!

ხანდახან თვალს გადაავლებდა ხოლმე თავის მსმენელთ: წინა რიგებში მსხდომ თეთრკანიანებს და უკანა რიგებში მსხდომ ზანგებს. ნეტა ვინ უნდა იყოს ის წითელქუდიანი თეთრი ქალი პირველ რიგში რომ ზის და როისთვის ვერ მოუშორებია თვალი?! მართლა უყვარს მუსიკა?!

დამთავრდა კონცერტი. თეთრკანიანებსაც კი აღარ შეეძლოთ აღტაცება დაემალათ. ულოცავდნენ როის. როი ძლივს იკავებდა ხველას...

წითელქუდიანი ქალი მასთან მივიდა და ხელი ჩამოართვა. გულწრფელად მიულოცა გამარჯვება. განაცხადა: ასეთი მოწაფე არა მყავსო.

მერე დედამ უთხრა როის: ის ქალი მის რისი იყო, მუსიკის მასწავლებელი თეთრკანიანთა სკოლაში.

III

ერთ დღეს მის რისიმ როი თავის სკოლაში მიიპატიჟა, როი ძალიან ცუდად იყო, მაგრამ მაინც წავიდა და დაუკრა. კონცერტის შემდეგ მის რისიმ ბავშვებს განუცხადა:

— აი ნამდვილი ხელოვნება, ჩემო პატარებო, აი ნამდვილი ხელოვნება!

რომ ძლივს მიაღწია სახლამდე და ლოგინში ჩაწვა. ვეღარ უკრავდა, საჭმელს ვეღარ ჭამდა, ძილიც დაეკარგა. ხანდახან წამოდგებოდა ლოგინიდან და ქუჩაში გაისეირნებდა.

ერთ საღამოს უკანასკნელად გამოვიდა როი სახლიდან. პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და რომ ქუჩაში არ წაქცეულიყო, ხელში ჯოხი დაიჭირა.

მთავარ ქუჩაზე გავიდა როი. მაგრამ ირგვლივ ვერაფერს ხედავდა — მხოლოდ ჰანგები ესმოდა. ოცნებაში ცურავდა. თეთრკანიანები შეხვდნენ ევროპულად ჩაცმულ ზანგს და იცინოდნენ. ვიღაც ზანგი ევროპული პალტოთი და ხელში ჯოხით, აქ



ჰოპკინსვალში, მისურის შტატში!

უცებ მაღაზიიდან თეთრი ქალი გამოვიდა და როის წინ შეჩერდა. მის რისი იყო.

— საღამო მშვიდობისა, როი.

როი უცებ შეკრთა.

— საღამო მშვიდობისა, მის რის. — მიესალმა როი.

გაეხარდა მისი ნახვა, დაავიწყდა, რომ ქუჩაში იყო, ხელთათმანი წაიძრო და ხელი ჩამოართვა ამ ქალს, ერთადერთ ადამიანს მთელს ქალაქში, რომელსაც ნამდვილად უყვარდა მუსიკა. ერთმანეთს გაუღიმეს — თეთრმა, მოხუცმა მუსიკის მასწავლებელმა და ახალგაზრდა, შავკანიანმა მუსიკოსმა. მერე ქალმა ჰკითხა:

— ისევ მუშაობთ სარასატაზე?

— ისევ დიახ,—მიუგო როიმ,—ძალიან მიყვარს.

— ჰეიფეცის დაკვრა არ მოგისმენიათ? — კვლავ შეეკითხა მის რისი.

მაგრამ პასუხის გაცემა ვეღარ მოასწრო როიმ. უცებ რაღაც მძიმედ მოხვდა სახეში. იგი წაბარბაცდა, მაღაზიის მინას მიეხალა და ჩაამტვრია. ქალმა შეჰკივლა. ახალგაზრდა თეთრკანიანები მისცვივდნენ:

— ეს ზანგი თეთრ ქალს ესაუბრებოდა, ამით მან შეურაცხყოფა მიაყენა თეთრკანიანებს! დიახ, დიახ თეთრი ქალი შეურაცხყო! აბა, ჯენტლმენებო!

ქალი ამაოდ ყვიროდა.

როის კვლავ ჩაარტყეს და მიწაზე დასცეს. გაავთრდნენ, ყველას უნდოდა ეგემნა და ერთჯერ მაინც ჩაერტყა საზიზღარი ზანგისათვის.

საბრალო ზანგი — როი უილიამსი მიწაზე ეგდო. პირი სისხლით ჰქონდა გამოვსებული. ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა. იგი მკვდარი ეგდო.

ეს იყო მისი ტკბილი ოცნების დასასრული.

თარგმანი **ვახტანგ ჭელიძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# რას გვიამბობს ტყე

საამო და სუფთა ჰაერს
არავისთვის არ ვიშურებ;
ვუმღერ კაცთა დღეგრძელობას
მე ფოთოლთა შარიშურით.
ყველა გამვლელ-გამომვლელი
გულით მინდა შევაჩერო,
მივიწვიო ცივ წყაროსთან,
შევთავაზო გრილი ჩერო.

სანუკვარი დიდი საქმე
ბუნებისგან ვალად მადევს:
თვისი მადლი და ბარაქა
დედამიწას არ მოაკლდეს;
იყოს ტარო და თავთავი
ცერის სიმსხო მარცვლით სავსე,
რომ ჩვენს ხორბალს არა ჰყავდეს
ბადალი მთელ ქვეყანაზე.

როცა დგება გაზაფხული
და ჟუჟუნა მოსდევს წვიმა,
ზურმუხტ ფოთლებს მარგალიტად
ცვივა ცვარი თვალციმციმა, —
მე ამ ცვარნამს გულმოდგინედ
ჩემს უბეში ვუვლი, ვმალავ,
და ჩვენს მშობელ დედამიწას
თუ შეუქმნის საფრთხეს გვალვა,
ყანებისკენ მიაქვთ შვება
ჩემს რაკრაკა ნაკადულებს,
მინდორ-ველებს ვაბიბინებ
ნაირფერით დახატულებს.
ვებრძვი მეწყერს და ნიაღვარს,
ჩემს წინაშე თავს ჰხრის ქარი;
მე ფარი ვარ კოლმეურნის
ნაშრომის და ნაჯაფარის.

საამო და სუფთა ჰაერს
არავისთვის არ ვიშურებ;
ვუმღერ კაცთა დღეგრძელობას
მე ფოთოლთა შარიშურით.
... და ამას გთხოვთ დიდ-პატარას
მუდამ ტკბილად მოუბარი:
იყოთ ჩემი მოყვარული,
გულითადი მეგობარი.

**არნო ონელი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაცნობ მიდამოებში



ვლადიმერ თორდუა

ნარკვევი

ნახ. გ. ბელეცკაიასი

თქვენ, რა თქმა უნდა, არა ხართ ნამყოფი ბეიუკგროსში, ალბათ არც კი გაგიგონიათ ეს სიტყვა. ბეიუკგროსი არც დიდი ქალაქის სახელია, არც სხვა რომელიმე ცნობილი ადგილმდებარეობისა. ეს სახელი ჰქვია ერთ პატარა მიწა-წყალს ჩვენი დიადი სამშობლოს ვრცელი ტერიტორიისა. იგი მცირე წერტილითაც არა ჩანს რუკაზე. ბეიუკგროსი მოძმე ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთი ხუტორია. მდებარეობს იგი შავი ზღვიდან სამიათასამდე კილომეტრის დაშორებით, ბალტიის ზღვის ახლოს.

სასტიკი ბრძოლები გადაიხადეს საბჭოთა მეომრებმა ჩრდილოეთის ამ პატარა ხუტორის განთავისუფლებისათვის გერმანელ დამპყრობთაგან. რუს, უკრაინელ, სომეხ, ლატვიელ თანამოძმეთა გვერდით იბრძოდნენ ქართველი მეომრებიც. საშინელი სანახაობა გადაგვეშალა თვალწინ, როგორც კი ხუტორში შევიჭრით. ყველაფერი წაეშალა, მიწის პირისაგან აღეგავა ომს. ერთადერთი გარუჯული ღუმელის მილი და მოშორებით ბორცვზე ფრთამოტეხილ ძერასავით დაფხორილი, დალეწილი ფარდული გვაფიქრებინებდა, რომ აქ ოდესღაც ხუტორი უნდა ყოფილიყო.

ხშირად მაგონდებოდა ეს ხუტორი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ: მეეჭვებოდა, იმ ადგილებში კვრივის ხელმეორედ გაჩაღება, ხუტორის აღდგენა.

აბა რაღას აღადგენენ, — ვფიქრობდი, — აარჩევენ ბარემ უკეთეს სამოსახლო ადგილს აი, მაგალითად, ახლოს ტყეებს შუა მოქცეულ მინდორს, — მაშინ სიკვდილის ველს რომ ვეძახდით, — და ახალ ხუტორს ააშენებენ.

მახსოვს ორმოცდახუთში ის ველი — მეტისმეტად მქუხარე, ხმაურიანი, შფოთიანი, ხალხმრავალი, — მახსოვს ველი კვნესით, ვმინვით და ვაშათი; მახსოვს რაღაც გაელვება და დაბნელება, დაცემა და წამოდგომა... მახსოვს ორ ტყეს შორის მოქცეული დათოვლილი კი არა, ყუმბარებისაგან შავად გადახნული, აქა-იქ სისხლით დაწინწკლული ველი სიკვდილისა და გადარჩენისა, ველი მწუხარებისა, მაგრამ მაინც ტკბილად მოსაგონარი...

ან როგორ შეიძლება კაცს დაავიწყდეს ადგილი, სადაც მას უკანასკნელად „ვაი-დედა“ უნდა ამოხდომოდა, ან დაავიწყდეს ადამიანები, რომელთაც მასთან ერთად განუცდიათ და გაუზიარებიათ გამარჯვებისა და გადარჩენის — მოპოვებული ბრძოლის მაცოცხლებელი სიხარული. ან როგორ დაივიწყებს იმ ადგილებს, სადაც გათხრილია სამშობლოსათვის დაცემულთა საძმო საფლავები.

მქონდა ბედნიერება გამარჯვების შემდეგ, შარშან კვლავ მეხილა ეს მიდამოები, საქართველოდან ვწვეოდი მას. რამდენიმე ლატვიელი ყოფილი თანამებრძოლი მახლდა გზად. ძნელია იმ განცდის გადმოცემა, როცა ჩვენი მანქანა მიუახლოვდა ნაცნობ ადგილებს. მე რაღაც უცნაურმა ხურვილმა ამიტანა: შეეჩერებინათ ჩემს თანამგზავრებს მანქანა ამ გზატკეცილზე და არ გამომყოლოდა არავინ. მინდოდა მარტო განმეცადა ის წუთები, მხოლოდ მე მქონოდა საუბარი არყის ხეებთან, მარტოდმარტო მეძებნა ნაცნობი ბლინდაჟები და ძმათა საფლავები. მეთქორთხნა, როგორც მაშინ, მერბინა, გზა დამბნეოდა და კვლავ ჩემითვე გამოვსულიყავ ამ ნაცნობი ტყის ვიწრო ბილიკებზე და მოზიარე კი ყოველივე ამისა არავინ მყოლოდა.

მანქანა ხუტორში პირდაპირი გზით გავგზავნეთ. ხოლო ჩვენ დავეშვით ტყე-ტყე. აქ



ხომ მორიგ შეტევაზე გადასვლის წინ განლაგებული იყო ორმოცდახუთის მარტში ჩვენი გვარდიული ბატალიონი... მოგონებები თავბრუს მახვევს. რაღაც ჯადოსნური ძალა მეწევა წინ. არ ვიცი, როგორ დავწინაურდი, — მეგობრები ჩამომრჩენოდნენ.

როგორც კი გზიდან ვიწრო ბილიკზე გავუხვიე და ტყისპირზე გავედი, ბურანიდან გამომარკვია ერთი პატარა ბიჭის მჟღერ ხმამ:

— პიონერული სალამი უფროს ამხანაგს!...

როგორც შემდეგ გავიგე, ეს ყოფილა ტყისმცველ იანის ლუბგანსის შვილი — სახელად აივარი — მეოთხე კლასის მოსწავლე, პიონერი. ქერათმიანი, ლამაზი ბიჭი იყო. მხარზე გადაეკიდნა წიგნების ჩანთა, ცალ ხელში დიდი შოლტი ეჭირა, მეორეში წიგნი.

— გამარჯობა, ბიჭიკო! რა წიგნს ჰკითხულობ?...

— რაინისია*, — მიპასუხა მან მორცხვად, — აი ეს ლექსი შარშან ვისწავლეთ...

— რუსული სად გისწავლია ასე კარგად?

— ჩვენთან, ხუტორ ჩიიესის ტყეებში რუსი პარტიზანები ცხოვრობდნენ... თქვენ რუსი ხართ? — მკითხა ძერე თამამად პატარა აივარმა.

*) იან რაინისი — დიდი ლატვიელი პოეტი (1865-1929).



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— არა, ქართველი. ხომ გაგიგონია, საქართველო, სტალინის სამშობლო?

— ვიცი. სტალინი გორში დაიბადა, პიონერხელმძღვანელმა გვიამბო...

— აგერ, შენი თანასოფლელებიც, ამათთან ერთად ვიბრძოდი აქ, — მივუთითე ბავშვს, მოახლოვებულ თანამგზავრებზე.

ერთი მათგანი იყო ჩემი ბატალიონის ყოფილი მეთაური, სამგზის ორდენოსანი ახალგაზრდა იაკობ პასტერნაკი — არქიტექტორი და შესანიშნავი მუსიკოსი, ლატვიის სსრ კონტროლის სამინისტროს მუშაკი. მეორე თანამგზავრი გახლდათ ერნესტ ლანგე — ჩემი ბატალიონის ასეულის ყოფილი პარტორგი, ამჟამად საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კულდიგის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე. მისი მაზრის შემადგენლობაში შედის ეს ტერიტორიაც. აქ მძიმედ დაიჭრა ერნესტი ორმოცდახუთის მარტში.

— ოო, ეს ხომ ჩვენი დეპუტატია, ლანგე, შესძახა ბავშვმა მათი მოახლოვებისთანავე.

— რას აკეთებ? — ღიმილით გამოელაპარაკა ბიჭს ლანგე.

— აგერ, კოლექტივის ნახირს ვაძოვებ, — გაიშვირა ბიჭმა ხელი ტყისპირას გაშლილ მობიბინე ლაღი საძოვრებისაკენ, რომელიც საქონლით იყო მოფენილი.

ვიცანი ეს ადგილები. აქ ახლა კოლმეურნეობის საძოვრებია. აქა-იქ ნაყუმბარევ ორმოებს ვამჩნევ. მაშინ ამას სიკვდილის ველს ვეძახდით, აქ გადაგვიხდია მკაცრი ბრძოლები.

— ამ ხუტორში წელს გაზაფხულზე ჩამოვაყალიბეთ პირველი კოლმეურნეობა. „გამარჯვება" დავარქვით, — მეუბნება ერნესტ ლანგე, — წელს პირველ მოსავალს მოიმკიან.

ამ საძოვრებზე გავლით მივდივართ ხუტორისაკენ. მინდვრის ნაირფერი ყვავილები და ბალახები ფეხებში საამოდ გვებლანდებიან. უხმოდ სძოვს კოლექტივის ჩათქვირებული საქონელი. გაბმით ზუზუნებენ ფუტკრები. ისმის ჩიტების ჟღურტული.

— ეჰ, რა ბრძოლები გვქონდა ამ მიდამოებში... აბა, დაუფიქრდით, — სადა ვართ ახლა. — აღტაცებით გვეუბნება პასტერნაკი, — გინდა მკერდში ჩაიკრა ეს განთავისუფლებული მიწა-წყალი, მაგრამ ერთი მკლავის გაშლა როდი ეყოფა!...

— ეჰ, მართლაც, მოიგონეთ, ბიჭებო... აგერ ჩვენი ბეიუკგროსიც...

— შესძახა აღფრთოვანებულმა ლანგემაც.

მაგრამ ბეიუკგროსისა მხოლოდ ბორცვები ვიცანი და ტოტებშელეწილი დიდი მუხა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტოებით რომ იდგა გზის პირას. იქ აღარც ის დანგრეული ღუმელის გამურული მილი სჩანდა და აღარც ნასახლარი.

მიწურებიდან, ბლინდაჟებიდან ამოსულან ახალი კოლმეურნეები, მშვენიერი სახლები აუგიათ.

— იცით, რა აზრი დამებადა, — გვეუბნება პასტერნაკი,—სიამოვნებით შევადგენდი ამ სოფლის კლუბისა და ახალი სკოლის შენობათა პროექტს...

გავნაგრძობთ გზას.

ხუტორის ცენტრში მგზავრის ყურადღებას იპყრობს სათუთად შემოკავებული, ვარსკვლავებით მოოჭვილი ძმათა სასაფლაო. მაშინვე მისკენ გავეშურეთ. ახალი ძალით გაცოცხლდა ჩვენში მარტის ბრძოლების მოგონებანი. შევედით, ქუდი მოვიხადეთ. ჩუმად უსიტყვოდ ამოვიკითხეთ წარწერებიდან ნაცნობი გვარები. აგერ, ჩვენი ბატალიონის მამაცი ჭაბუკი მზვერავი არკადი ჩუპურნიხი — დიდების ორდენის კავალერი, მის გვერდით ლატვიელი ახალგაზრდა მეომრები იანის ბრიედე, ანატოლ კაში!... ეს ორი უკანასკნელი იმ ბრძოლების წინ შევიდა კომკავშირში.

მუხლი მოვიყარეთ ლატვიური დივიზიის ამ მამაც მებრძოლთა საფლავებთან. ნაღვლიანად სდუმს დაღუპული ძმების თანამოიარაღე ჭალარა ერნესტ ლანგე.

უცხო სტუმრების დანახვაზე მოვიდნენ კოლმეურნეთა ყელსახვევებიანი ბავშვები,



გოგონები მინდვრის ყვავილთა თაიგულებით. მკვირცხლად მოგვესალმნენ, ძმათა საფლავები შეამკეს... მერე ჩვენთან ერთად გაემართნენ კოლექტივის მინდვრებისაკენ, სადაც მთელი ხუტორი სამუშაოდ იყო გასული.

განახლებული ხუტორის ბავშვები გვექლურტულებოდნენ თავიანთ ახალ ცხოვრებაზე. მზე უხვად გვაფრქვევდა ცხოველმყოფელ სხივებს. ეს — ბუნება ზეიმობდა, სიცოცხლე ზეიმობდა.

# ქობულეთელი სტუმარი

### თქმულება

ქობულეთელი სულეიმან ბეჟანიძე ქობულეთიდან გურიაში, სოფელ ასკანაში მოდიოდა საქმეზე. სოფელ დუაბზუს რომ მიაღწია, იფიქრა — აქ ჩემი მეგობარი გიორგი სიამაშვილი ცხოვრობს. არ არის კარგი, გზა ავუხვიო და მის სანახავად არ შევიარო. მოდი, ვნახავ და ორივენი ვისიამოვნებთო.

მართლაც, სულეიმანი მეგობარს ესტუმრა. გიორგის ძლიერ გაუხარდა. ცოლს ხაჭაპური გამოაცხობინა და სტუმარს გაუმასპინძლდა.

ბევრი ისაუბრეს მეგობრებმა... ბოლოს ნასიამოვნები სულეიმანი თავის გზას გაუდგა. წასვლისას გიორგის დაჰპირდა, რომ დავბრუნდები, უთუოდ ისევ გამოვივლი და გნახავო.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ, დაბრუნებული სულეიმანი ისევ ესტუმრა გიორგის. მასპინძელი ახლაც დიდი სიხარულით შეეგება მას, ახლაც ხაჭაპური გამოაცხობინა ცოლს, მაგრამ ხაჭაპური არ გამოვიდა ისეთი კარგი როგორც მაშინ და სწუხდა.

საკვირველი ის იყო, რომ სულეიმანი მხიარულად მიირთმევდა ხაჭაპურს და მხიარულად ამბობდა:

— აჰ, რა საუცხოვო ხაჭაპურია, გიორგი, მშვენიერი, რბილი, ნაზი, პირდაპირ დნება პირში.

გიორგის შერცხვა და ამოხვნეშით უთხრა.

— ჰოი, სულეიმან, ძალიან მაკვირვებს შენი სიტყვები, მაშინ რომ ხაჭაპური მოგართვი ის ათჯერ უკეთესი იყო ამ ხაჭაპურზე, და შენ კი ეს არც ერთი სიტყვით არ აღნიშნე, ახლა კი, ამ უვარგისს, ასე აქებ, რა ამბავია?!

— ჩემო ძვირფასო მეგობარო გიორგი, — მიუგო სულეიმანმა, — იმ ხაჭაპურს ქება არ სჭირდებოდა: ის თავისთავს თვითონ აქებდა. ქება სწორედ ამ ხაჭაპურს სჭირდება და მეც ამიტომ ვაქებ.

**ნინო ნაკაშიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სპორტის ძალა

**თამარ საჯაია**

მოთხრობა

მსაჯმა სასტვენს ჩაჰბერა. მეშვიდე კლასელ ვაჟთა და ქალთა გუნდმა სწრაფად დაიკავეს ადგილები. სკოლის სპორტდარბაზში თავი მოეყარა კალათბურთის მოყვარულებს. ისინიც თითქოს გუნდებად იყვნენ გაყოფილი, — მარჯვნივ გოგონებს მოეკალათათ, მარცხნივ — ვაჟებს. მაყურებლები გატაცებით ადევნებდნენ თვალს ბურთის მოძრაობას. ხშირად გაისმოდა შეძახილი: „კარგია!" „არვარგა!"

მაყურებელთა შორის ყველაზე მეტად ღელავდა პატარა, გამხდარი გოგონა, რომელმაც თამაშის მსვლელობაში იმდენი იხტუნა, რომ მისდაუნებურად ვაჟების გვერდით აღმოჩნდა.

— ნელის მოაწოდე, ნელის! — შეჰყვირა მაყურებლებიდან ვიღაცამ, როდესაც ბურთი გოგონებს ჩაუვარდათ ხელში. ნელიმ თვალებით მოსძებნა „წრიპა", (ასე ეძახდნენ ზედმეტ სახელად გამხდარ გოგონას), შესცინა, მკვირცხლი ნახტომით ბურთი ხელთ იგდო და პირდაპირ კალათში ჩაუშვა.

გოგონებმა გაიხარეს. „წრიპა" შეხტა და ტაში დაუკრა, მაგრამ მის ახლოს ტაშს არავინ უკრავდა. გოგონამ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ვაჟების წრეში მოხვედრილიყო.

თამაშის დამთავრებას ორი წუთი აკლდა. ნელიმ ერთხელ კიდევ შეარხია კალათის ბადე. მსაჯმა უკანასკნელად ჩაჰბერა სასტვენს. ქალიშვილები მოთამაშეებში გაერივნენ.

ვაჟთა გუნდის კაპიტანმა გადმოყრილი თმები გაისწორა, თავი მაღლა არ აუღია, ისე უბრძანა თავისიანებს:

— წავიდეთ!

გოგონებმა სიცილი გააყოლეს დამარცხებულებს:

— მეორედ ვეღარ გაბედავთ ჩვენთან თამაშს, — დამცინავად მიაძახეს მათ.

— ჩვენს მოედანზე მობრძანდით, ჩვენს მოედანზე! — უპასუხა ერთმა მოთამაშემ ვაჟთა გუნდიდან.

— იქაც დაგამარცხებთ, იქაც! — სიცილით გამოეპასუხა ხელი.

გოგონებმა ერთხელ კიდევ გადაიკისკისეს.

— მეტიჩარა! — გადმოსძახა ნელის ვაჟთა გუნდის კაპიტანმა ოთარმა.

ნელი შეკრთა, სახეზე ალმური მოეკიდა. გრძელი, ხშირი წარბები შუბლზე აიზიდა, თვალებში ნაპერწკლებმა გაუელვეს, მაგრამ უცალ ჩაუქრნენ. ეწყინა — ჯერ არავის უწოდებია მისთვის მეტიჩარა. მან სპორტული ფორმა სწრაფად გამოიცვალა. თეთრი ბეწვის პალტო ჩაიცვა, ქუდს ხელი დაავლო და კარებისაკენ გაეშურა. მისი მეგობრებიც თან მიჰყვნენ. ნელი ყველაზე წინ მიაბიჯებდა თოვლით დაფარულ სკოლის ეზოში. გოგონები უკან მისდევდნენ გაბრაზებულ გუნდის კაპიტანს. გამარჯვების სიხარული გულს უხარებდათ.

— აბა, რას გავდა დღევანდელი ჩვენი თამაში?! — მიუბრუნდა ნელი ამხანაგებს. — სიმართლე უნდა ითქვას, შემთხვევით მოვიგეთ. ასეთი თამაშით ქალაქის პირველობას ვერ მოვიპოვებთ.

— ცუდად რომ გეთამაშნათ, ვერც მოიგებდით! — არ ცხრებოდა „წრიპა".

— არა, შენ რომ იმდენს ყვიროდი, ვინ მოგცა უფლება? — თქვა ნელიმ.

— მიყვარს ბურთი, თქვენც მიყვარხართ... იმიტომ ვყვიროდი.

ნელიმ კმაყოფილებისაგან ღიმილი ვეღარ შეიკავა და სიყვარულით გადაუსვა თავზე ხელი მეგობარს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰმ, გიყვარს! თუ გიყვარს, კიდევაც უნდა ჩაეწერო რომელიმე სექციაში... სული რომ შეგიბეროს კაცმა, წაიქცევი! — თქვა თუ არა ეს, თავისი სიტყვების დასამტკიცებლად მარჯვედ ჰაერში აიტაცა მეგობარი, მაგრამ უცებ ყინულზე ფეხი დაუსხლტა და თავისი ტვირთით მიწაზე მძიმედ დაეშვა. „წრიპას" არაფერი უგრძვნია, მაგრამ ნელიმ ერთი მაგრად დაიკვნესა და გრძნობა დაჰკარგა.

საღამოს დიდი სიცხე მისცა. შეშინებული დედა მალ-მალე უცვლიდა შუბლზე ცივ ტილოს. გოგონას სიცხისაგან აელვრეოდა თვალები. ტუჩები მთლად გაჰფიცხებოდა.

ექიმმა ანუგეშა დედა — ბავშვი მალე გამოჯანმრთელდებაო.

ერთი თვის შემდეგ ნელი ლოგინიდან წამოდგა, მაგრამ ველარ გაირბინა, — ყინულზე დაცემის დროს ნერვი დაზიანებოდა და მარცხენა ფეხით ოდნავ კოჭლობდა.

იმ დღიდან სპორტდარბაზს აღარ გაჰკარებია. დაღონდა ნელი. მეგობრები ერიდებოდნენ მასთან კალათბურთზე საუბარს.

— როგორ არის თქვენი გუნდის საქმე, ვინ არის კაპიტანი?! — წამოსცდა ერთხელ თვითონ ნელის.

— მე ვარ. — უპასუხა ნინომ, ისეთი ხმით, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

— ნელი, რამდენი ხანია ოთარს უნდა შენთან მოსვლა და ბოდიშის მოხდა, მაგრამ ვერ ბედავს...

— არა ვსაჭიროებ, გადაეცი, რომ ჩემი მახინჯი ფეხით ველარ გავუწევ მეტოქეობას...

ღრმად ამოისუნთქა გაწითლდა და განაგრძო:

— არ მოვიდეს, გესმით! არ მოვიდეს, არ მინდა ასე მნახოს...

ნელიმ ფეხზე დაიხედა და უცებ მერხზე დაემხო. მეგობრები შემოეხვივნენ. „წრიპამ" თავი ველარ შეიკავა და ატირდა.

* * *

იმ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, სკოლის ეზოში კალათბურთის თამაში იყო. ნელის მაგივრად გუნდს ნინო მეთაურობდა. ყიჟინებდა სკოლის ეზოში შეკრებილი მოწაფეობა, გრიალებდა ტაში, იცინოდნენ, უხაროდათ... და არავინ ამჩნევდა, რომ მესამე სართულზე ერთი ფანჯრიდან მათ ნელის ორი შავი, ცრემლით გაბრწყინებული თვალი დასცქეროდა.

* * *

გაზაფხულის მიწურული იყო. მოსკოვში მოზარდთა სპარტაკიადაში მონაწილეობას იღებდნენ მოძმე რესპუბლიკების ახალგაზრდები და საოლქო სამხარეები.

რადიორეპროდუქტორი შეუსვენებლივ აცხადებდა სპარტაკიადაში მონაწილეთა გვარებს. „ქართველიშვილმა ბადროს ტყორცნაში დაამყარა ახალი რეკორდი..." — გაისმა დიქტორის ხმა.

მაყურებელთა შორის ვიღაც ახალგაზრდა ვაჟი წამოხტა და სწრაფად ჩაირბინა კიბეები. „არა, შეუძლებელია",—ფიქრობდა ის. მალე ახლოს მივიდა მოედანთან და მოაჯირს დაეყრდნო.

— ის არის, ის, მაგრამ ფეხი?!... — ბადროს მტყორცნელთა მწკრივმა გვერდით ჩაუარა. მან მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ნელი მარცხენა ფეხს ოდნავ გვერდზე ადგამდა, მაგრამ წელში გამართულს სახე ისევ ისე, როგორც ბავშვობისას, უცინოდა და ამაყად მიაბიჯებდა.

— ნელი!..

ნელიმ მოიხედა. უცებ ვერ იცნო მფრინავის ფორმაში გამოწყობილი ვაჟი, მაგრამ მალე გამოერკვა, გაუღიმა, ამხანაგებს ჩამორჩა და მოაჯირიდან პირდაპირ სკამზე გადახტა.

— გამარჯობა ოთარ, ძლივს გიცანი!

— პირველად ვერც მე გიცანი, ნელი ხუთ წელზე მეტია ერთმანეთი არ გვინახავს.

— გიკვირს, უთუოდ, რომ აქ მხედავ, — თქვა ნელიმ თითქოს ოთარის გაოცებული გამოხედვის პასუხად, და მცირე ხნის შემდეგ განაგრძო: — ექიმებმა მირჩიეს უნდა ივარჯიშო, წინააღმდეგ შემთხვევაში მდგომარეობა გართულდებაო... გაუბედავად მივედი სპორტულ დარბაზში და კარებთან შევჩერდი, მრცხვენოდა შესვლა ჩემი მახინჯი ფეხით... ის იყო უკან ვაპირებდი გამობრუნებას, რომ ვიღაცამ ხელი წამავლო. ჩემს წინ „წრიპა" იდგა. ის დღეს საუკეთესო ტანმოვარჯიშეა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობს...

— ნელი, ჩემს საყურებლად მოხველი?! — მკითხა მან.

— არა, სავარჯიშოდ. — ვუპასუხე მე დაბალი ხმით. მან თვალები ფართოდ გაალო, თითქოს საკუთარ სმენას არ უჯერისო.

ამ მოგონებაში იყო ნელი, როცა მოაჯირთან ვიღაც მამაკაცი მოვიდა და ნელის რაღაც უთხრა.

— ნახვამდის, ოთარ, მეძახიან, კიდევ ვნახავთ ერთმანეთს,—წარმოთქვა ნელიმ და ხელი ჩამოართვა ოთარს. მოაჯირზე გადახტა და თითქმის გაიქცა. ოდნავ ემჩნეოდა კოჭლობა, მაგრამ მიდიოდა ამაყად და პირმცინარეს რამდენიმე ათასი წყვილი თვალი მისჩერებოდა.



# როგორ ცოცხლდებიან ნახატები კინოში

გივი დედასთან ერთად გამოვიდა კინოთეატრიდან. მათ ნახეს მულტიპლიკაციური კინოსურათი. გივი ამ კინოსურათმა ძალიან დააინტერესა.

— ნეტავ, როგორ ასრულებენ როლებს ბაჯბაჯა დათუნია, მელაკუდა, მამლაყინწა? —ჰკითხა მან დედას.

— სულ ადვილად შეიძლება ამ საიდუმლოების გაგება, ჩემო გივი,—უთხრა დედამ, —ბიძია ლადო ხომ კინოსტუდიაში მუშაობს? ხვალ მიდი ბიძია ლადოსთან და სთხოვე აგიხსნას, როგორ ამზადებენ ასეთ კინოსურათებს.

გივის მოეწონა დედის რჩევა.

მართლაც, მეორე დღეს, საღამოს, გივი ბიძია ლადოსთან მივიდა.

— რითი შემიძლია გემსახურო, ჩემო პატარა სტუმარო? — ღიმილით უთხრა ბიძია ლადომ გივის. ბიჭუნამ უამბო მისვლის მიზანი, — რომ მან გუშინ ნახა უცნაური კინოსურათი, რომლის საიდუმლოების გაგება სურს. ბიძია ლადო დაჰპირდა გივის, რომ დააკმაყოფილებდა მის სურვილს.

მესამე დღეს გივი სკოლიდან ჩვეულებრივ რომ დაბრუნდა, დედა გამოეგება აივანზე და ახარა:

— რა ხანია ბიძია ლადო გელოდება, უნდა წაგიყვანოს კინოსტუდიაში.

ბავშვმა სიხარულისაგან ფრთა შეისხა. მალე ის და ბიძია ლადო მანქანაში ჩასხდნენ და კინოსტუდიისაკენ გაეშურნენ.

აი, კინოსტუდიაც.

ლადომ გივი სამულტიპლიკაციო საამქროში შეიყვანა. მოზრდილ დარბაზში მაგიდას უსხდა ოცამდე ახალგაზრდა ქალი და კაცი. ისინი ხატავდნენ.

— ჩემო გივი, — დაიწყო ლადომ, — პირველად მხატვრები ხატავენ სურათებს. ზოგი ადამიანს ხატავს, ზოგი დათვს და ზოგიც ფრინველებს, რაც საჭიროა სამულტიპლიკაციო კინოსურათის შესაქმნელად. აი, შეხედე, — ლადომ იქვე, სამონტაჟო მაგიდიდან აიღო კინოსურათის ნაწყვეტი. — ეს ნაწყვეტი შესდგება ერთმანეთზე მიყოლებით გადაღებულ პატარა ფოტოსურათებისაგან, თითოეულ ასეთ პატარა ფოტოსურათს კადრი ეწოდება. როდესაც იღებენ ჩვეულებრივ კინოსურათს, რომელშიც მონაწილეობენ ცოცხალი ადამიანები — მსახიობები, მაშინ კინოოპერატორი — კინოსურათის გადამღები აპარატის საშუალებით იღებს წამში 24 პატარა ფოტოსურათს, ანუ კადრს. მულტიპლიკაციურ კინოფილმში მსახიობები არ მონაწილეობენ, იქ მხოლოდ ნახატები მოძრაობენ, რომელთაც მხატვრები ხატავენ. ეკრანზე რომ ნახატებმა იმოძრაონ, საჭიროა კინოსურათის გადამღები აპარატის სახელურის ერთი დატრიალებით წამში ერთი კადრის გადაღება. გადაღება კი სწარმოებს მხოლოდ მხატვრის მიერ შესრულებული ნახატის. მხატვარ მულტიპლიკატორს დახატული აქვს ერთიმეორეზე თანამიმდევრობით ძაღლის ან კურდღლის ცალკეული მოძრაობა, მაგალითად ფეხის აწევა, ყურის გაქნევა და სხვა. ამ ნახატებმა რომ ერთი წუთის განმავლობაში მოძრაობა იწყონ ეკრანზე და მივიღოთ სათანადო შთაბეჭდილება, ამისათვის საჭიროა მხატვარმა დახატოს ათასხუთასამდე თანმიმდევრობით ცალკეული მოძრაობის გამომხატველი სურათი.

თითოეული მოძრაობის გამომხატველი ნახატი ქაღალდიდან გადააქვთ ტუშით ცელუ-



სამულტიპლიკაციო კინოსურათების გადამღები დაზგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოიდის თხელ ფურცლებზე, რის შემდეგაც აფერადებენ. ამ ნახატებისათვის საჭიროა აგრეთვე ფონი — ტყე, მინდორი, ან ოთახი, რათა კინოში მაყურებელმა სურათისაგან მთლიანი შთაბეჭდილება მიიღოს.

შემდეგ ბიძია ლადომ გივი წაიყვანა სურათების გადასაღებ განყოფილებაში. ოთახში იდგა რამდენიმე დაზგა კინოსურათის გადამღები აპარატებით. კინოოპერატორი-მულტიპლიკატორი ცელულოიდზე დახატულ ნახატს იღებდა. ბიძია ლადომ აუხსნა, თუ როგორ იღებენ სურათს:

— ამ დაზგას უწოდებენ სამულტიპლიკაციო კინოსურათების გადამღებ დაზგას, რომელსაც, როგორც ხედავ, ზევით მიმაგრებული აქვს კინოსურათის გადასაღები აპარატი ელექტროძრავით და ელექტრონათურებით. ეს ნათურები საჭიროა იმისათვის, რომ გადაღების დროს ნახატები დაზგაზე იყოს განათებული.

— შეხედე, — განაგრძობდა ბიძია ლადო, — რამდენი ნახატია ერთი და იგივე ძაღლისა სხვადასხვა მდგომარეობაში და მოძრაობაში. შემდეგ გადაღებული მასალა მიაქვთ კინოლაბორატორიაში, ავლებენ გამომსახველში, მიღებულ ნეგატივიდან ბეჭდავენ პოზიტივს.

ამ დროს ოთახში შემოვიდა ოპერატორის ასისტენტი, შემოიტანა გამზადებული პოზიტივი და ლადოს მიმართა:

— ამხანაგო ლადო, პოზიტივი მზად არის. ხომ არ ნახავთ?...

— ახლავე, აგერ, ჩემს პატარა მეგობარსაც ვაჩვენებ.

ისინი მივიდნენ საპროექციო დარბაზში. მალე სინათლე გაქრა და ეკრანზე ათამაშდა მხატვრის მიერ შესრულებული ნახატები ძაღლისა და ადამიანისა. ნახატებმა იწყეს მოძრაობა, სიარული და სირბილი.



გივისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. მან მადლობა გადაუხადა ბიძია ლადოს და კმაყოფილი დაბრუნდა შინ.

**მ. ნარიმანიშვილი**

# ე ნ ი ს ე ი

სპეციალურ ლიტერატურაში კარგა ხანია არ არსებობდა ცნობა იმის შესახებ, თუ საიდან წარმოიშვა მდინარე ენისეის სახელწოდება. საბჭოთა მეცნიერმა ე. ნ. ვლადიმიროვმა მიაქცია ყურადღება, რომ ნენცები ჩრდილო ნაწილში ამ მდინარეს უწოდებენ თავიანთ ენაზე „ენასეს“, რაც ნიშნავს „ფართო მდინარეს“.

ნენცებს შორის შემონახულია გადმოცემა იმის შესახებ, თუ რუსები როგორ გაეცნენ პირველად მდინარე „ენასეს“.

ერთხელ რუსმა მოგზაურებმა ამ მხარეში მოგზაურობისას მიმართეს ადგილობრივ მცხოვრებთ, თუ წინ უახლოესი მდინარე რომელი შეხვდებოდათ. ნენცებმა უპასუხეს, რომ აღმოსავლეთისკენ არის მდინარე „ენასე“. მაშინ მოგზაურებმა აცნობეს მოსკოვში, რომ ისინი მიემართებიან ახალი დიდი მდინარე ენისეისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# „გამგონე"

ახლა ეს სახელი ფართოდაა ცნობილი. პატარა საქმე ხომ არ არის ერთ ძროხაზე დღეში 3 ფუთზე მეტი, ხოლო წელიწადში 16.262 კილოგრამი რძის მიღება. ეს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სტალინური მზით გასხივოსნებულ, კოლექტიური შრომით აყვავებულ მიწა-წყალზე გახდა შესაძლებელი.

ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც ამერიკაა, შვიცის ჯიშის ძროხის წლიური წველადობა 4.700 ლიტრს არ აღემატება, შვეიცარიაში— 4.012 ლიტრს.

საბჭოთა მეცნიერების, სპეციალისტების, სოციალისტური მეცხოველეობის მოწინავე ადამიანების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების ბეჯითი და თავდადებული შრომით საბჭოთა კავშირში ათასობითაა გამოყვანილი ისეთი ძროხა, რომელიც წელიწადში ტონობით რძეს იძლევა. ამ მხრივ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს კოსტრომელმა მეცხოველეებმა. მათ ძროხის ახალი ჯიში გამოიყვანეს. აქ წლის მანძილზე 60 ძროხამ საშუალოდ 8.000 ლიტრი რძე მოიწველა თვითეულმა, 10 ძროხამ— 10.000 ლიტრზე მეტი თვითეულმა, ხოლო 300-მდე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 6.310 ლიტრი რძე. აი ამ საბჭოთა მეურნეობაშია გამოყვანილი ის ძროხა, რომელსაც „გამგონე" დაარქვეს და რომლის წლიურმა წველადობამ 16.262 კილოგრამს მიაღწია, ხოლო ძროხის ცოცხალმა წონამ — ნახევარ ტონას გადააჭარბა. ასეთი მიღწევა მსოფლიოში არავის უნახავს. ამიტომაა, რომ ეს წარმატება ყველას ანცვიფრებს.

ლენინის ორდენოსანი საბჭოთა მეურნეობა „კარავაევო" ქალაქ კოსტორმიდან 6 კილომეტრზე, მდინარე ვოლგის ნაპირზე მდებარეობს. ამ საბჭოთა მეურნეობას 2.000 ჰექტარი მიწა აქვს, ხოლო პირუტყვის რაოდენობა 600 სულს აღემატება. მეურნეობაში ამ ცოტა ხნის წინათ შეაჯამეს მოპოვებული წარმატებანი, რამაც გვიჩვენა, რომ აქ 10 წლის მანძილზე ყველა ძროხაზე გადაანგარიშებით თვითეულისაგან 300 დღეში მიღებულია 5.600 კილოგრამი რძე.

ახალი ჯიშის — კოსტრომული ძროხის გამოყვანის საქმეში საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ადამიანები მტკიცედ ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. მიჩურინის დევიზით, რომ „ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან; ჩვენი ამოცანაა გამოვართვათ ეს წყალობა მას".

კოსტრომის რაიონში 10 წლის მანძილზე გავრცელებულია 1.615 სული მაღალპროდუქტიული საქონელი. ეს იშვიათი ჯიშის საქონელი ახლა დიდი მოწონებით სარგებლობს. კოსტრომის საჯიშე მეურნეობამ თავისი მომსახურების ზონაში მარტო 7 წლის მანძილზე ათეულ ათასამდე სული ჯიშიანი საქონელი გასცა.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ვამრავლოთ მოწინავეთა მიღწევები, ფართოდ გავავრცელოთ მოპოვებული წარმატებანი, გავაძლიეროთ და გავაუმჯობესოთ მუშაობა.

აგრონომი **ტ. თოდრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განმათავისუფლებელი ბრძოლა ჩინეთში

აღმოსავლეთ აზიის დიდ ქვეყანაში — ჩინეთში დიდი სამოქალაქო ომია გაჩაღებული. მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, იბრძვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იბრძვის ხალხის მჩაგვრელ ბურჟუებისა და მემამულეების წინააღმდეგ.

ჩინელი ხალხის წიაღში შობილი სახალხო განმათავისუფლებელი არმია დღითიდღე ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს; ამ არმიის მძლავრი შეტევისაგან სულ უფრო და უფრო ეცლება ნიადაგი დამარცხების გზაზე შემდგარ ჩინეთის ბურჟუა-მემამულეთა სახელმწიფოებრივ წყობილებას, რომელსაც გომინდანელები უდგათ სათავეში.

ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის წარმატებები დიდ აღტაცებას იწვევს მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებში.

სახალხო განმათავისუფლებელი არმიის მიერ 1948 წლის დამლევს განთავისუფლებულ იქნა მანჯურია, ხოლო მიმდინარე წლის დასაწყისში თითქმის მთელი ჩრდილო ჩინეთი.

სამოქალაქო ომის ცეცხლი ცენტრალურ ჩინეთში შეიჭრა.

მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს განმათავისუფლებელი არმიის ცალკეულმა შენაერთებმა ნანკინის დასავლეთითა და აღმოსავლეთით გადალახეს მდინარე იანცზი, მის სამხრეთ ნაპირებზე გაარღვიეს ძლიერ გამაგრებული გომინდანელთა თავდაცვის ხაზი და გაანთავისუფლეს ჩინეთის დედაქალაქი ნანკინი. გომინდანელებმა პანიკით დაიხიეს უკან ნანკინ-ხანჯოუს გზატკეცილის გასწვრივ. განთავისუფლებული ქალაქის მცხოვრებლები დიდი ენთუზიაზმით მიესალმნენ სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებს. ნანკინის განთავისუფლების შემდეგ დემოკრატიულმა არმიამ დაიკავა ქალაქები ტაიუანი, ანცინი, ხანჯოუ და სხვა, ხოლო მაისის ბოლოს დაიკავა ჩინეთის დიდი საწარმოო ცენტრი შანხაი.

სახალხო განმანთავისუფლებელი არმიის ნაწილები დიდი წარმატებით განაგრძობენ წინსვლას.

გომინდანელთა ჯარებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს, მათ ვერ უშველა ამერიკელთა ზარბაზნებმა, ტანკებმა, თვითმფრინავებმა, ვერც ამერიკელთა აგრესიულმა ჩარევამ ჩინეთის შინაურ საქმეში. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩინელმა ხალხმა სასტიკი დამარცხება აგემა ჩინეთის ფეოდალურ რეაქციას და მის სულისჩამდგმელ ამერიკელებს.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო განმათავისუფლებელ არმიას რამდენიმე დარტყმით შეეძლო გომინდანელების განადგურება, ჩინეთის კომუნისტური პარტია შეეცადა მოლაპარაკება ეწარმოებინა გომინდანელებთან, რათა შეეწყვიტათ სამოქალაქო ომი ჩინეთში.

მოლაპარაკება დაიწყო ბეიპინში აპრილის პირველ რიცხვებში. მოლაპარაკების მსვლელობის დროს აშკარა გახდა გომინდანელი დელეგაციის გაიძვერული პოლიტიკა. სიტყვით ზავზე ლაპარაკობდნენ, სინამდვილეში კი უარს ამბობდნენ ხელშეკრულების 8 მუხლზე, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ იანვარში წარუდგინა მათ. აშკარა შეიქნა, მოლაპარაკება იმისათვის უნდოდათ, რომ ჯარის ნაწილები შეესვენებინათ, მათი განლაგება შეეცვალათ და უფრო გამაგრებულიყვნენ მდინარე იანცზის სამხრეთ ნაპირებზე.

ჩინეთის მუშათა კლასი იბრძვის ახალი, თავისუფალი ჩინეთის შექმნისათვის; ჩინეთის მუშათა კლასის როლი გაიზარდა მას შემდეგ, რაც სახალხო განმათავისუფლებელმა არმიამ დაიკავა მთელი რიგი საწარმოო რაიონები.

განთავისუფლებული ჩინეთის ტერიტორია აღემატება ორი მილიონ 600 ათას კვადრატულ კილომეტრს, რომელზედაც ცხოვრობს ჩინეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ამ განთავისუფლებულ ვეებერთელა ტერიტორიაზე ჩინეთის მშრომელი ხალხი და მისი ავანგარდი კომუნისტური პარტია აშენებს ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებას, სადაც ადგილი არა აქვს ფეოდალურ და იმპერიალისტურ ჩაგვრას.

განთავისუფლებულ ქალაქებში მიმდინარეობს ჩინეთისათვის მანამდე არნახული მშენებლობა.

დიდი ცვლილებები ხდება სოფლებშიც. სხვადასხვა განთავისუფლებულ რაიონებში გაუქმდა მიწათსარგებლობის ფეოდალური სისტემა. გასული წლის ბოლოს 100 მილიონმა ყოფილმა უმიწაწყლომ და მცირე მიწის მფლობელმა გლეხმა მიიღო მიწა.

განთავისუფლებულ რაიონებში იზრდება მოსახლეობის კულტურული დონე. უკანასკნელ წლებამდე გლეხებს არ ჰქონდათ საშუალება შვილებისათვის მიეცათ განათლება. მიწის რეფორმის ჩატარების შემდეგ გაიზარდა ბავშვების ლტოლვა სკოლებისაკენ.

ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელიც შეუპოვრად იბრძვის დამოუკიდებელი, თავისუფალი ჩინეთისათვის, — სარგებლობს ხალხის ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით.

ჩინელი ხალხის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები შეწუხებული არიან გომინდანელების დამარცხებით და ყოველ ღონეს ხმარობენ იხსნან ანტიხალხური გომინდანური წესწყობილება. მაგრამ არავითარ ძალას არ შეუძლია შეაჩეროს ჩინელი ხალხი, რომელიც ღრმადაა რა დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, თავდადებით იბრძვის ჩინეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ელ. ხომასურიძე

---

# მინაარსი


ე. ზამბახიძე — დიდი ხალხის დიდი პოეტი (წერილი) 1
ა. ს. პუშკინი — ლექსები 6
ს. ბონდი — პუშკინი ლიცეუმში (წერილი) 8
შ. ფორჩხიძე — პუშკინი საქართველოში (ლექსი) 11
გ. კაჭახიძე—პუშკინი მთაწმინდაზე (ლექსი) 13
ბ. ბეთანელი — გახსოვდეს შენ პიონერი ხარ! 14
გ. ესებუა — სიმწიფის ატესტატი (ლექსი) 15
არ. ონელი — რას გვიამბობს ტყე (ლექსი) 16
პ. ლორია — ბანაკში გატარებული დღეები (მოთხრობა) 17
ლ. ჰიუზი — შინ დაბრუნება (მოთხრობა) 21
ვ. თორდუა — ნაცნობ მიდამოებში (ნარკვევი) 23
თ. საჯაია — სპორტის ძალა (მოთხრობა) 26
მ. ნარიმანიშვილი — როგორ ცოცხლდებიან ნახატები კინოში (ნარკვევი) 28
ტ. თოდრაძე — „გამგონე“ (წერილი) 30
ე. ხომასურიძე — განმანთავისუფლებელი ბრძოლა ჩინეთში (წერილი) 31
ვ. ჟურული — როცა კითხულობ პუშკინს (ლექსი) გარეკანის მე-2 გვ.
გასართობი გარეკანის მე-3 გვ.
გარეკანის პირველ გვერდზე ა. ს. პუშკინის პორტრეტი


---


პასუხისმგებელი რედაქტორი გ. კაჭახიძე

პასუხისმგებელი მდივანი ვ. თორდუა სამხატვრო რედაქტორი ა. გიგოლაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

უე 03626 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შეკვ. № 76 სტამბის შეკვ. № 707

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.



ЭРОВНУЛИ БИБЛИОТЕКА
Тбилисский филиал * Библиотека * ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გ ა ს ა რ თ ო ბ ი

## კროსვორდი



### კითხვები ვერტიკალურად

1. ხილი, 2. ცნობილი ქართველი მხატვარი ქალი, 3. ნუგეში, 5. ქიმიური ელემენტი, 6. მხატვრის ხელსაწყო, 6. ცირკის ნაწილი, 8. რადიომიმღების ნაწილი, 9. აზიის სახელმწიფო, 13. ცნობილი საბჭოთა მოჭადრაკე, 14. აბისინიის დედაქალაქი, 16. ესპანეთში მცხოვრები ტომი, 17. სახელმწიფო ევროპაში, 18. პატარა მდინარე, 20. საშენი მასალა, 21. სახელმწიფო აზიაში, 27. დედამიწის სარტყელი, 28. ნოტი, 30. ცნობილი რუსი ადმირალი, 32. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი, 33. კუნძული, 35. საბუღალტრო ტერმინი, 36. ქალაქი ესტონეთში, 37. სახალხო ეპოსი, 38. მრუდე ხაზი.

### კითხვები ჰორიზონტალურად

1. დიდი ქართველი პოეტი, 4. ქალაქი ამიერკავკასიაში, 7. პატარა დროშა, 10. სამეცნიერო დაწესებულება, 11. მთა საქართველოში, 12. ცხოველი, 13. სახელმწიფო, 15. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მხარე, 18. ყვავილი, 22. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე, 23. თეატრალური სალებავი, 24. ქალის სახელი, 25. საჭმელი, 26. უკრაინის დედაქალაქი, 29. კრივის ჩასატარებელი ადგილი, 31. დ. კლდიაშვილის პიესის გმირი, 32. აზიის ერთ-ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი, 34. ქალაქი ყირიმის ნახევარკუნძულზე, 37. სახალხო პოეტი შუა აზიაში, 39. მეცხრამეტე საუკუნის რუსი მწერალი და პუბლიცისტი, 40. რუსეთის იმპერიის მეფეთა გვარი, 41. დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, 42. პერსონაჟი ლ. ქიაჩელის ნაწარმოებიდან, 43. საშენი მასალა.

შეადგინა **ანა აგიაშვილმა**

## თავსატეხი



ეს ნახაზი თქვენს რვეულში დახაზეთ ისე, რომ ხაზმა ხაზი არ გადაჰკვეთოს და გავლებულ ხაზზე ფანქრის წვერი მეორეჯერ არ გაატაროთ.

შეადგინა **ქ. ბასილაშვილმა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლუდ | ო | ლიშ | დუბ | ლან |
| ქა | როვ | და | ნე | ვი |
| ნი | მი | ევ | რუს | პი |
| სკი | ნის | კა | ლი | გი |
| ლა | გე | ნი | ტა | ♞ |

ცხენის სვლით წაიკითხეთ აქ დახაზულ უჯრედებში ჩაწერილი მარცვლები ისე, რომ მიიღოთ პუშკინის ოთხი ნაწარმოების სათაური.

შეადგინა **რ. თავდიდიშვილმა**

---

## პ ა ს უ ხ ე ბ ი

### ჟურნალ „პიონერის" მე-5 ნომერში მოთავსებულ გამოცანებზე:

**ალ. საჩინოელის** გამოცანის პასუხია **ცოდნა.**

ჩვენი ფულის თითოეული ერთეული ერთად აღებული შეადგენს — 194 მანეთსა და 56 კაპიკს.

ფასი 5 მან.

ჩვენი ხილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გადახატეთ და მიუწერეთ თითოეულს თავისი სახელი